# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 52 (325) ● სამშაბათი, 31 მარტი, 1992 წელი ● ფასი 1 მანეთი.


## „ვაი, რა გეშველება, თუ ერთგულიც ორგულობს, ვაი, სიმებდამწყდარო, შენ—აკაკის ჩონგურო!"

განსაცდელის ჟამს ქართული პოეზია ხშირად გამოიხმობს ხოლმე წარსულიდან დიდ წინაპართა აჩრდილებს, წმინდანებს და ეროვნულ გმირებს.

მეგრულ სიმღერებიდან თუ მეგრული მოთქმიდან
ისმის ცხენის თქარუნი და ჭიხვინიც მოდიდდა.
იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური აფრიდან
ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან აფრინდა?
მთვარის ყაბალახიანი,
ღამის ნაბდიანი
მოდის, მოიჩქარის ცოტნე დადიანი.
რახანია ეკლესიებს შესევია ჭილყვავი,
და ციხეებს აზიური სიმღერები ჭირხლავენ,
ცას უყეფენ კოცონები თუ კარვები მონგოლთა...
ვერ იქნება კოხტაგორა საქართველოს გოლგოთა!
მაშ, გაფრინდი, ბედაური, გრძელფაფარა, კანჭწვრილო,
ცხენისწყალზე გახედნილო და ტყაშ მაფას გაწვრთნილო.
არც ქერი გაქვს, არც არაყი, არც მოთმენა, არც ძილი,
ახრამუნე ჰორიზონტი... გადახუხე მანძილი...
ისევ ისმის თქარუნი და ჭიხვინი რაშის,
ვხედავ სამეგრელოდან ამხედრებულ აჩრდილს.
მოჰქენაობს,
მოგელავს
თოხარიკით...
ჩორთით...
ფაფარივით აწეწილა საუკუნის შფოთი...
აქ არც მონღოლებია, არც სკვითი და ყივჩაღი,
ბოღმით გატენილი აქვს შავს მგალობლის ჩიჩახვი.
თითონ დაყივჩაღობენ საქართველოს შვილები,
ერთმანეთს წასევიან ქიშპით დაგეშილები.
ვაი, რა გეშველება, თუ ერთგულიც ორგულობს,
ვაი, სიმებდამწყდარო შენ — აკაკის ჩონგურო.
მკერდში ვეღარ ეტევა გული დარდიანი,
მოდის გადასარჩენად ცოტნე დადიანი...

შოთა ნიშნიანიძე.
1972-1992

## საქართველო ჰელსინკის პროცესის სრულუფლებიანი წევრია

მსოფლიოს იმ 51 ქვეყანას, რომლებიც გაერთიანებული არიან ჰელსინკის პროცესში, მიემატა საქართველო. ეს ცნობილი გახდა 24 მარტს — ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მორიგ კონფერენციაზე. საქართველოს ამ საერთაშორისო ცნობის დიდი სიხარული პირველებმა გაინაწილეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თედო ჯაფარიძემ და რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრმა პროფესორმა ლევან ალექსიძემ.

ამ მოვლენის კომენტარს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

## ფინეთმა ცნო საქართველო

ჰელსინკი. ფინეთის პრეზიდენტმა მაუნო კოივისტომ მიიღო დღეს გადაწყვეტილება ცნოს საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, იუწყება ფინეთის დეპეშათა ბიურო.

ფინეთი არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას რესპუბლიკაში გაურკვეველი შინაპოლიტიკური ვითარების გამო. მთავრობამ შეიცვალა პოზიცია მას შემდეგ, რაც სამშაბათს სახელმწიფო მიიღეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სრულუფლებიან წევრად.

## კომენდატურის ცნობა

ჩვენთვის თითქმის ჩვეულებრივი გახდა: დილით, როცა ინფორმაციას ვუზიარებთ, ერთმანეთს შევატყობინებთ ხოლმე, თუ როგორ ჩაიარა ღამემ, ისროდნენ თუ არა... და უფრო ხშირად გვესმის — კვლავ ისროდნენ, ისე, როგორც, ვთქვათ 30 მარტს ღამით, როცა მანქანების გამო, რომლებიც პატრულს არ გაუჩერდნენ, ჰაერში გამაფრთხილებლად ისროდნენ.

— სამწუხაროდ, — იძულებული იყო აღენიშნა ქალაქის კომენდანტის მოადგილეს მურთაზ ბაბუციას, — კომენდანტის საათის დამრღვევები ყოველ ღამეს გვხვდება. მაგრამ მთლიანად ვითარება ქალაქში გასული დასვენების დღეების დროს მშვიდი იყო. არ მომხდარა ბინის ქურდობა, ავტომანქანების გატაცება. ამას ვუკავშირებთ ტელევიზიით სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრის თენგიზ კიტოვანის გამოსვლას, რომელმაც რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას გონიერებისა და სიმშვიდისათვის მოუწოდა.

დასავლეთ საქართველოში გამწვავებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა ექსცესები რესპუბლიკის დედაქალაქში?

— ახლა თბილისში სიმშვიდეა. თუ ვითარება დაიძაბა, ამისთვის მზად ვართ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

საქინფორმი.

## წესრიგი დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს!

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს განცხადება

ზუგდიდსა და მიმდებარე რაიონებში დესტაბილიზაციის ახალი ტალღა შემთხვევით როდი დაემთხვა საქართველოში ვითარების გაჯანსაღებასა და ნორმალიზაციას. ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკა ღირსეულ [illegible]

ბლოკირებულია და მწყობრიდან გამოყვანილი სარკინიგზო და საავტომობილო გზები, რის გამოც საქართველომ უკვე იზარა- [illegible]

უაზრო და უგუნური დაუმორჩილებლობის სულისჩამდგმელთა და ხელმძღვანელთა მხრიდან.

წესრიგი დაუყოვნებლივ და სამუდამოდ უნდა აღდგეს!

ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო მოითხოვს:

1. დაუყოვნებლივ გაიხსნას რკინიგზა და ყველა საავტომობილო მაგისტრალი.
2. იმ შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომლებიც ადრე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მზად არიან გაერთიანდნენ ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში, დაუყოვნებლივ და უპირობოდ დაიკავონ გვარდიის სარდლობის მიერ მათთვის განსაზღვრული დისლოკაციის ადგილები;
3. ყველა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებამ ჩააბაროს იარაღი და მათი წევრები დაუბრუნდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით, ხოლო აუცილებლობი- [illegible] ...იანობის უზრუნველყოფა;

3. საგანგებო მდგომარეობის წესების შესაბამისად საკომენდანტო საათისა და საპასპორტო რეჟიმის განუხრელი დაცვა;
4. შეიარაღებული ბანდებისა და ტერორისტების ლოკალიზება, განიარაღება და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

სახელმწიფო საბჭო დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა არ დაუშვებს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებულ ავანტიურისტთა და დივერსანტთა რაზმების შეფარებას. [illegible] ...ბი და ხელი შეუწყოს სამთავრობო ძალებს წესრიგისა და კანონიერების დამყარებაში. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი რეგიონში ნორმალური ცხოვრების აღდგენა.

თბილისი, 1992 წლის 29 მარტი

## ედუარდ შევარდნაძე: არ დავკარგოთ არც ერთი დღე, არც ერთი საათი!

### შეხვედრები ქართლის შუაგულში



ერთი სიტყვით, რომ შეიძლებოდეს გორში ედუარდ შევარდნაძის შეხვედრებისა და საუბრებისგან მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა, სადაც იგი იყო გასულ პარასკევს, ეს არის იმედი. მანქანიდან თუ შენობიდან გამოსვლისთანავე მას გარს ეხვეოდა ხალხი. ისინი ულოცავდნენ მას სამშობლოში დაბრუნებას, უსურვებდნენ წარმატებებს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მაღალ პოსტზე და, რაღა თქმა უნდა, გამოთქვამდნენ იმედს, რომ მისი ენერგია, უნარი და ავტორიტეტი ბევრად შეუწყობს ხელს საქართველოს გამოყვანას პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან.

ხოლო ის, რომ კრიზისი მართლაც ღრმაა და განსაკუთრებით იგრძნობა ქართლში, თვალნათლივ დაადასტურა საუბარმა რეგიონის ხელმძღვანელებთან და მშრომელებთან. მაგალითად, გორში ელექტროენერგიისა და ნედლეულის უქონლობის გამო გაჩერებულია რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო საწარმო — ბამბეულის კომბინატი, დანგრეულია და ჯერ არ შექმნილა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ახალი სისტემა, არავინ იცის, რა და როგორ აკეთოს იმის მოლოდინში, რომ დღეს თუ არა ხვალ ლიკვიდირებული იქნება კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. სანახევროდაც არ შესრულებულა საგაზაფხულო სამუშაოები. ისედაც, მათი შესრულება შეუძლებელი იყო: არ არის საწვავი. წლეულს სოფელმა ბენზინის 27 პროცენტი, ხოლო დიზელის საწვავის — 28 პროცენტი მიიღო გასული, აგრეთვე არასაუკეთესო წლის დონესთან შედარებით. ძალიან ბევრი პრობლემა დგება მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით, რომელშიც აგრეთვე ბევრი გაუგებრობაა.

ანალოგიური მდგომარეობაა კასპის, ქარელის და ხაშურის რაიონებში.

მაგრამ ყველაზე მთავარია შფოთიანი ვითარება რეგიონში, რაზეც ლაპარაკობდა ყველა — ხელმძღვანელებიც და მშრომელებიც. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მძიმე დანაშაულობების — მკვლელობის, ძარცვა-რბევის, ყაჩაღობის მკვეთრი ზრდა. მაგალითად, მარტო 1991 წელს გორში რეგისტრირებულია 41 მკვლელობა, ამ სახეობის დანაშაულის საშუალო მრავალწლიანი მაჩვენებელი კი აქ სამ-ოთხს შეადგენს. მოსახლეობა თავს დაუცველად გრძნობს დამნაშავეთა თარეშის წინაშე. მეტი რა უნდა მოხდეს: ახლახან გაძარცვეს საბავშვო ბაღი, საიდანაც მოიპარეს რამდენიმე კილოგრამი კარაქი, შაქარი და... საბავშვო ზეწრები!

რა თქმა უნდა, ყველას განსაკუთრებული საზრუნავია კონფლიქტი სამაჩაბლოში, სადაც შენარჩუნებულია უაღრესად რთული ოპერატიული ვითარება. დღე არ გავა, რომ არ იყოს ლოკალური სროლა, მძევლების აყვანა ორივე მხრიდან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყოველივე ეს გაგრძელდება, სანამ იქიდან არ გაიყვანენ ყოფილი სსრ კავშირის შინაგან ჯარებს და მათ ადგილს არ დაიკავებენ რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებანი. მაგრამ დამაიმედებელია ის, რომ ხალხს თანდათანობით ესმის — ამ ჩიხიდან გამოსავალი ერთია: მოლაპარაკება, თანაც არა მარტო მაღალ სამთავრობო დონეზე, არამედ თვით მოსახლეობას, მეზობლებს შორის, რომლებიც ათწლეულების მანძილზე მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრობდნენ. ასეთი პერსპექტივები უკვე არის.

მე შეგნებულად არ ვწერ დაწვრილებით იმაზე, რაც ითქვა სამაჩაბლოელ ლტოლვილებთან შეხვედრაზე. აქ იყო ყველაფერი — ტკივილიც, სასოწარკვეთაც, იმედიც. მერწმუნეთ, უცრემლოდ ვერ მოუსმენდით შარშან ახალგაზრდა ქალებს, ხელმოკვეთილ მამაკაცს. დარბაზში, სადაც შეიკრიბნენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს და განიცადეს ყოველივე ეს, ტიროდნენ... შეგნებულად არ ვწერ იმიტომ, რომ სიასტიკე გონების ცუდი მრჩეველია, და თუ ახლა დავიწყებთ ვნებათა გაღვივებას, სამაჩაბლოში შექმნილ სიტუაციას კიდევ დიდხანს ვერ დავაღწევთ თავს. საჭიროა თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიოთ წინ, გადავჭრათ ჯერ ერთი პრობლემა, მერე მეორე და ა. შ.

ედუარდ შევარდნაძემ შეკრებილთ აღუთქვა, რომ ახლახან შექმნილ სამთავრობო კომისიას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის პირველი მოადგილე რომან გოცირიძე, მინიჭებული აქვს უფართოესი უფლებამოსილებანი, იგი ოპერატიულად გადაწყვეტს სამაჩაბლოელ ლტოლვილებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას.

დღეს მიზეზებზე ლაპარაკი დაგვიანებულია, ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისთვის, რომ უახლოეს ხანს მოვსპოთ კონფლიქტი, შემდეგ კი გავაანალიზოთ ყველაფერი, რაც იყო, და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ოდითგანვე ქართულია, და მთელი ეს საუბარი იმის შესახებ, რომ იგი შეიძლება გამოეყოს საქართველოს, სერიოზული არ არის. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია, ამას აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა სახელმწიფო ხელმძღვანელი.

ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა გორის მშრომელებთან შეხვედრა ბამბეულის კომბინატის კლუბში, სადაც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ილაპარაკა იმაზე, რაც ისახება რესპუბლიკაში უახლოესი დროისთვის, იმაზე, თუ რა ღონისძიებანი განხორციელდება საქართველოში ვითარების მოსაგვარებლად. მაგრამ, თქვა მან, ხელისუფალნი ვერაფერს გააწყობენ, თუ მთელი მოსახლეობის მხარდაჭერა არ იქნა. ახლა მთავარია არ დავკარგოთ არც ერთი დღე, არც ერთი საათი, ვიმუშაოთ თვითონ, ვეძებოთ კრიზისიდან გამოსვლის ნებისმიერი გზები. არ უნდა გვაშინებდეს ექსპერიმენტირება, ცდა, რამეთუ უამისოდ შეუძლებელია წინსვლა.

ჭირჭერობით ყველას ბოლომდე როდი ესმის, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკა, რაოდენ ღრმაა კრიზისი, ცხოვრების ყველა სფერო რომ მოიცვა. არასტაბილური ვითარება როგორც აქ, ისე სხვა რეგიონებშიც, გამოუსწორებელ ზარალს აყენებს მოსახლეობას. მოყვანილი იყო ასეთი მაგალითი: დასავლეთ საქართველოში მარტო საავტომობილო გზისა და რკინიგზის ბლოკადამ მრავალი მილიარდი მანეთის ზარალი მოგვაყენა, ჩვენ ვერ ვიღებთ პროდუქტებს, საწვავს, სამრეწველო საქონელს, ფაბრიკა-ქარხნებისთვის საჭირო ნედლეულს. და შედეგები თვალნათლივ ჩანს: მაღაზიები პრაქტიკულად ცარიელია, გაჩერებულია საწარმოები, მოსახლეობა ყველაფრის ფასების შეუკავებელი ზრდის პირობებში ლამის უფულოდ არის.

ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ქართველი ხალხი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის აქტიური დახმარებით, რომლებმაც იწამეს, რომ საქართველოში დაიწყო დემოკრატიზაციის, ჰუმანური სახელმწიფოს მშენებლობის შეუქცევადი პროცესი, დაძლევს კრიზისს და გაუთანაბრდება განათლებულ ერებს. ამის პოტენციალი არის, იგი დაუშრეტელია.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მშრომელებს დაჰპირდა, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა რესპუბლიკამ თავი დააღწიოს კრიზისს, შეწყდეს კონფლიქტები, მოიხსნას დაძაბულობა, გულდაჯერებულად იგრძნოს თავი ხალხმა. იგი კვლავ და კვლავ იმეორებდა, რომ ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, ერთობლივი გარჯით.

ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა დამსწრეთა უამრავ კითხვას, მათ შორის ფრიად მწვავე კითხვებსაც. თანაც, იგი თავს არ არიდებდა არც ერთს, რაგინდ უსიამოვნოც ყოფილიყო მისთვის.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად გორში იყვნენ სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველი ირაკლი ანდრიაძე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის პირველი მოადგილე რომან გოცირიძე, საქართველოს ინფორმაციის მინისტრი არჩილ გოგელია, საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე.

გორიდან დაბრუნებისას იგი ჩამოხდა მცხეთაში, სადაც რაიონის ხელმძღვანელებმა გააცნეს საქმის მდგომარეობა, ქალაქ-ნაკრძალის პრობლემები.

გურამ ჭანიშვილი.

სურათებზე: ედუარდ შევარდნაძე გორში; სამაჩაბლოელ ლტოლვილებთან შეხვედრაზე იყო ყველაფერი — ტკივილიც, სასოწარკვეთილებაც და იმედიც.

იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)



## საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

### რესპუბლიკის ბედისთვის პასუხისმგებლობის გრძნობით

28 მარტს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელიც დაიწყო მისი მუშაობის რეგლამენტის განხილვით. რეგლამენტის პროექტი სამანდატო კომისიის სახელით წარმოადგინა თედო ნინიძემ. ითვალისწინებს რა, რომ ახალი პარლამენტის არჩევნებამდე სახელმწიფო საბჭომ, როგორც რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ, დიდი და ფრიად პასუხსაგები მუშაობა უნდა გასწიოს დეკრეტების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესამუშავებლად და მისაღებად, საქართველოსთვის საარსებო მნიშვნელობის ამოცანების გადასაწყვეტად, ამ დოკუმენტის პროექტში ჩამოყალიბებულია თავად სახელმწიფო საბჭოს ფორმირების როგორც ძირითადი პრინციპები, ისე მისი სხდომების გამართვისა და სხდომებზე საკითხების განხილვის დეტალური წესიც. რეგლამენტის განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები და კონსტრუქციული წინადადებები გადაწყვეტილია განზოგადდეს და უკვე მომდევნო სხდომაზე წარედგინოს სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად.

საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ საქართველოს ცნობის მდგომარეობა მოახსენა სახელმწიფო საბჭოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს უფროსმა ზაზა გოქსაძემ. მან განაცხადა, რომ წინა დღეს ისლანდიიდან შესაბამისი დოკუმენტის მიღების გათვალისწინებით, საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი უკვე ცნო 46 ქვეყანამ, რომელთაგან მრავალმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მზად არის დაამყაროს ჩვენს რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობა, გაცვალოს საკონსულო წარმომადგენლობანი და საელჩოები. სხდომაზე წაიკითხეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის სახელზე მიღებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელსაც ხელს აწერს მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი. ნოტა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით აუწყებს მას, რომ გადაწყვეტილია ამა წლის 9 აპრილიდან დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასთან. ითქვა, რომ ამასთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში საქართველოში ჩამოვა ჰანს დიტრიხ გენშერი. დასახულია რესპუბლიკაში აგრეთვე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის და სხვა საპატიო სტუმრების ვიზიტი.

სახელმწიფო საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო გაერთიანებაში საქართველოს შესვლის დაწყებულ პროცესს და ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა ყველაფერი ილონონ რესპუბლიკაში ვითარების შემდგომი სტაბილიზაციისთვის, ცხოვრების ნორმალიზაციისა და ყველგან და ყველაფერში ჯეროვანი წესრიგის დამყარებისთვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ბედი, მისი მომავალი, უნდა შეიგნოს და განიმსჭვალოს იმ გრძნობით, თუ რაოდენ პასუხსაგებია რესპუბლიკის ახლანდელი პერიოდი. ამასთანავე სჯა-ბაასი იყო იმაზეც, რომ დიპლომატიურ ურთიერთობათა მეცნიერების უკეთ ათვისების, უცხოელი სტუმრების მიღების ორგანიზაციის სრულყოფის, რესპუბლიკაში საზღვარგარეთის წარმომადგენლობათა მომავალი გახსნის მიზნით ძალიან ბევრი რამ უნდა გააკეთონ თავად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, აგრეთვე თბილისის მერიამ და სხვა უწყებებმა.

სახელმწიფო საბჭომ განიხილა აგრეთვე რესპუბლიკის ცხოვრების მიმდინარე საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე

## საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ულტიმატუმი

### ზუგდიდსა და მიმდებარე რაიონებში მოქმედ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს

ზუგდიდსა და მიმდებარე რაიონებში მოქმედმა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა 1992 წლის მარტის 24 საათამდე უპირობოდ უნდა შეასრულონ შემდეგი მოთხოვნები:

1. გაიხსნას სარკინიგზო და საავტომობილო გზები;
2. იმ შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომლებიც ადრე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მზად არიან გაერთიანდნენ ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში, უპირობოდ დაიკავონ გვარდიის სარდლობის მიერ მათთვის განსაზღვრული დისლოკაციის ადგილები;
3. ყველა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებამ ჩააბაროს იარაღი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი წესით და მათი წევრები დაუბრუნდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს.

თუ აღნიშნული მოთხოვნები არ შესრულდება, ჩვენ მივიღებთ განსაკუთრებულ ზომებს რეგიონში დივერსიული მოქმედების აღსაკვეთად და საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, ხოლო მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო მძიმე შედეგისთვის დაეკისრებათ შეიარაღებული პროვოკაციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

თენგიზ კიტოვანი,
ჯაბა იოსელიანი.

თბილისი, 1992 წლის 29 მარტი.

## დასავლეთი საქართველო:

### მდგომარეობა სტაბილური ხდება

ზუგდიდი, 30 მარტი, აფეთქებასაშიში მდგომარეობა აბაშისწყალთან განმუხტულია. წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება, რომელსაც სახელმწიფო საბჭოს მხრიდან ხელმძღვანელობდნენ დავით ჩიჩუა და პაატა დათუაშვილი, ხოლო ზუგდიდის დაუმორჩილებლობის კომიტეტიდან — ვალტერ შურღაია, ვახტანგ ქობალია, ჯუმალ ქობალია და გოჩა ბახია.

შეთანხმების საფუძველზე შეიარაღებული მხარეები ტოვებენ დისლოკაციის ადგილებს. ისევე, როგორც ზუგდიდის ბატალიონი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული სხვა შეიარაღებული ფორმირებებიც დაუბრუნდებიან თავიანთ რაიონებს. მათ ადგილს დაიკავებენ მილიციის სკოლის კურსანტები და შინაგანი ჯარის ნაწილები, რომლებიც ყველა რაიონში განლაგდებიან და ადგილობრივი მილიციის განყოფილებებთან ერთად უზრუნველყოფენ წესრიგს.

16 საათისთვის მძიმე სამხედრო ტექნიკისგან მთლიანად განიტვირთა აბაშისწყალზე მდებარე ხიდის მისადგომები. მილიციის სკოლის კურსანტთა ერთი ჯგუფი აბაშის მიმართულებით გაემგზავრა. რაც შეეხება ზუგდიდს, აქ უკვე აქტიურ მოქმედებას შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის მილიციის სამმართველო, რომელმაც იკისრა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსმა, მილიციის გენერალმა გივი კვანტალიანმა განაცხადა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, განსაკუთრებით მილიციის დანაყოფებმა უნდა უზრუნველყონ უკანონო ფორმირებებისთვის იარაღის ჩამორთმევა და გააძლიერონ პირადი პასუხისმგებლობა ადგილებზე დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. დროა, მილიციის ყოველი განყოფილების ხელმძღვანელმა იკისროს რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პრობლემები, არ იყოს სხვისი შემყურე და მიიჩნევდეს, რომ ეს ყველას საქმეა. ყოველგვარი იარაღი, რომელიც მოსახლეობაშია, დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლესთან. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებმა უნდა გააქტიურონ მუშაობა იარაღის ჩამოსართმევად და დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც მათი სამსახურებრივი მოვალეობაა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი ამას გაურბის და ცდილობს არავის აწყენინოს და კარგი კაცის როლი ითამაშოს, რაც საზიანოა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. დასამალი არ არის, რომ ამ დანაშაულობათა და კრიმინალური სამყაროს გააქტიურება გახდა რეგიონში აფეთქების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი.

მაკა კიღაძე.

ამ დღეებში

საქართველოს რესპუბლიკის ... [illegible]

მოვლენა
ფაქტი
კომენტარი

# როცა ასეთი სიყვარულია

**ამ დღეებში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, საგანგებო თათბირზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი ოთარ ქვილითაია, განიხილა დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთათვის დახმარების საკითხები და მიიღო რამდენიმე დადგენილება:**

ქალაქის ერთ-ერთ შემნახველ ბანკში გაიხსნას დაზარალებულთა დასახმარებლად გამოყოფილი თანხის ანგარიში, რაც შექმნის შესაძლებლობას დაზარალებულებს მიეცეთ დახმარება როგორც ფულის სახით, ისე ამ თანხის ანგარიშზე მათთვის გამოყოფილი ნივთების გამოტანის უფლებით.

თბილისის მერია და საპროექტო ინსტიტუტი „თბილისქალაქპროექტი" ამთავითვე გაითვალისწინებენ დაზარალებულთათვის მშენებარე საცხოვრებელი სახლების ბინებში ე. წ. ჩაშენებული ავეჯის მოწყობასაც, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ცალკე ავეჯის გარნიტურების შეძენის აუცილებლობას.

გარდა ამისა რესპუბლიკის მთავრობის დავალებით რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო უკვე იღებს ზომებს იმისთვის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების რომელიმე საავეჯო კომბინატში მიზნობრივად შეუკვეთონ ავეჯი დაზარალებულთათვის. თბილისელებისთვის მაღალი ხარისხის ავეჯის გარნიტურებს დაამზადებენ აგრეთვე საქართველოს ავეჯის კომბინატებშიც.

ქალაქის მერია მოკლე დროში დააზუსტებს დაზარალებულთა თითოეული ოჯახის ზარალის ოდენობას იმ მიზნით, რომ დადგინდეს კომპენსაციის მოცულობა, რომლის მიხედვით გამოიყოფა სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

გადაწყდა ისიც, რომ დაზარალებულებზე გაიცეს სპეციალური ფორმის ტალონები სამრეწველო და სასურსათო საქონლის შესაძენად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უსახლკაროდ დარჩენილ 858 თბილისელს, თითოეულს მისცემს დახმარებას 1000 მანეთის ოდენობით. დაზარალებულ ოჯახებს მიეცემათ აგრეთვე 285 ცალი სარეცხი მანქანა „ვიატკა". ამასთან, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დააკმაყოფილა ქ. თბილისის მერიისა და მთაწმინდის რაიონის საკრებულოს გამგეობის თხოვნა და დაავალა ფინანსთა სამინისტროს დაუყოვნებლივ გამოუყოს დაზარალებულ 858 თბილისელს — თითოეულს 10 ათასი მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

# სანამ გვიან არ არის!

**რედაქციამ გუშინ მიიღო საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წერილი სამეგრელოს მოსახლეობისადმი, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:**

ძვირფასო თანამემამულენო, ძირძველი კოლხური, ქრისტიანული კულტურის ტრადიციებისა და ყოველი ქართველისათვის უპირველესი რაინდთაგანის, ცოტნე დადიანის მოდგმისანნო და სულისანნო!

ყალბ, ფსევდოპოლიტიკურ ცხოვრებაში პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელ ჩვენს თანამემამულეთა ჩართვამ, ერთმანეთის უპირველესობა და ღირსება გადაგვავიწყა და პოლიტიკურად ჩვენი გამბრიყვებლების გაფეტიშება, გაკერპება, გაღმერთება ვიწყეთ; ყალბ პოლიტიკურ მექანიზმს ვანაცვალეთ ქრისტიანული, ეროვნული და პიროვნული ღირსება-გრძნობები; იმ ადამიანთა ჯვარცმას მოვდექით, რომლებიც სწორედ ამ გრძნობათა გაკეთილშობილებას გვიტარებდნენ. უდიდესი ძალისხმევით ჩავანგრიეთ ისტორიული უწყვეტობის ხიდები, ყველა გარეშე მტერს გადავაჭარბეთ ერთმანეთში მტრის სახის ძიებით, ხალხის მტრების, კრემლის, აწ უკვე ორი თეთრი სახლის (მოსკოვსა და ამერიკაში) აგენტების, დამსმენებისა და მავნებლობის ლამის სტაციონარულ გამოფენად ვაქციეთ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა, რომლის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როგორც იქნა გვეღირსა, მაგრამ, სხვა რომ არა ვთქვათ, ცუდად შევიღირსეთ.

ძვირფასო მეგობრებო! ერთად ვიფიქროთ იმაზე, რაც აწ და მარადის არც ერთ წვეთ სისხლს აღარ დააკლებს ჩვენს საერთო ძარღვებს, ერთად დავგმოთ იმ პიროვნებათა პოზიციები, რომლებიც, საკუთარ ავ ბოროტ ზრახვებს, პოლიტიკურ თუ პიროვნულ ამბიციებს აყოლილნი, ამ უკანასკნელთა გადარჩენას ესწრაფვიან ჩვენივ სისხლითა და მოსპობით. ქართველი ერი და ქართული მიმტევებელი სული მათაც იხსნის და გადაარჩენს, თუკი თქვენი და ჩვენი წყალობით, ვიდრე ყველა გზა არ მოუჭრიათ, გონს მოეგებიან.

ჩვენი მიზანი არც ამჟამად არის ისეთი უკიდურესობამდე ხელოვნურად დაძაბული, თითქოს პატიოსან მშრომელთა ერთსულოვნებაზე დაფუძნებული მდგომარეობის ესკალაცია. ამას ცრუპატრიოტები და ცრუპოლიტიკოსები რომ ახერხებენ, ეს ვერ აგვიხსნია. მივხვდით, დროზე მივხვდით, რომ საშიშ თამაშში გვითრევენ, ურთიერთობათა გამაუცხოებელ და დესტრუქციულ წესებს ახვევენ თავს პოლიტიკისაგან შორს მდგარ სინდისიან ადამიანებს.

გონს მოგების ხვეწნა-მუდარით მივმართავთ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სხეულის — აფხაზეთის ქართულ მოსახლეობასაც, რომელსაც სამეგრელოს რეგიონთან საერთო ქართული ცნობიერების ყველა ძაფი აკავშირებს. პოლიტიკური გაუთვითცნობიერებლობა და მკრეხელური გაუგებრობა რომ არა, დარწმუნებული ვართ, ასე ერთბაშად არ ჩავცვივდებოდით თავს ერთდროულად სასაცილო და ტრაგიკულ მდგომარეობაში: როცა ბატონი ზვიად გამსახურდია ჩვენს ისტორიულ და ქრისტესმიერ ძმებს — აფხაზებს — აფხაზურ ენაზე მიმართავს და ეუბნება — სახელმწიფოებრიობას საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება როდი გაღირსებთო, ნუთუ იმაზე მაინც არ უნდა დავფიქრდეთ, რომ ჩვენვე ვარცხვენთ 1989 წლის 9 აპრილს დაღვრილ წმინდა სისხლს და იმავე მიზეზით, ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის, იმავე წლის ივლისში აფხაზეთში ჩვენს თავს დატეხილი ტრაგედიის მსხვერპლთ.

ისე როგორ უნდა მოგვეწამლოს ეროვნულ-ქრისტიანულ-პოლიტიკური ცნობიერება, რომ ჩიჩნეთის რეგიონიდან გადმოსროლილმა უწიერო და დამღუპველმა მოწოდებებმა „დუდაევი!" გვაძახებინოს მიტინგებზე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენივე ქრისტიანული ორიენტაციისა და სულის უპირველესი სიმბოლოს პორტრეტები კი ცეცხლისათვის მიგვაცემინოს, იმ პიროვნებისა, რომლის გვერდით მდგომი ბიბლიაზე ხელდადებული პრეზიდენტი ღმერთსა და საქართველოს ერთგულებას ეფიცებოდა.

**ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თანამშრომლები: ლევან თოიძე, სოსო ცინცაძე, გერმანე ფაცაცია, ბადრი მეხეხია, გელა საითიძე, ოთარ ეგაძე, მამუკა კარტოზია, რევაზ დოლონაძე, ვანო შენგელაია, დავით სანდოძე, ხვთისო არჩემაშვილი, გრიგოლ ჟვანია, ამირან თავართქილაძე, ნოდარ ჩხოლარია.**

# დიალოგის, მოლაპარაკების გზით

**მალე გაიმართება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მორიგი სესია, რომელზეც უნდა განიხილონ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს თამაზ ნადარეიშვილს შეეფასებინა ავტონომიურ რესპუბლიკაში სადღეისოდ შექმნილი ვითარება.**

— ვითარება აფხაზეთში რთული, დაძაბული, შეიძლება ითქვას, აფეთქებასაშიშიც კი არის, — აღნიშნა მან. — ეს გამოწვეულია იმით, რომ გარკვეული პოლიტიკური წრეები საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორების გეზს დაადგნენ, რითაც არღვევენ როგორც საქართველოს რესპუბლიკის, ისე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას. რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი დეპუტაცია, მათ შორის მეც, მხარს ვუჭერთ ავტონომიური რესპუბლიკის უფლებათა რეალურ გაზრდას, მისი სტატუსის, რეალური სუვერენიტეტის გაფართოებას. მაგრამ ყველა ეს საკითხი უნდა გადაწყდეს არა ცალმხრივი წესით, არამედ მოლაპარაკების მაგიდასთან, აფხაზეთის მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით.

და, რაც ყველაზე მთავარია, როგორც ეს უკვე არაერთგზის მითქვამს, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით. მაგრამ პირობები ყოველთვის როდი სრულდება. მაგალითად, უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სესიაზე დეპუტატთა ჯგუფმა დღის წესრიგში შეიტანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის რესპუბლიკად გადარქმევის საკითხი. დღის წესრიგში შეიტანეს აგრეთვე სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებული საკითხები. ცხარე კამათის შემდეგ დეპუტატები იძულებული გახდნენ ამ საკითხთა განხილვა გვიანი დროისათვის გადაედოთ მათი მოუმზადებლობის გამო.

რა თქმა უნდა, კონსტიტუციიდან უნდა ამოვიღოთ სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური", როგორც ანაქრონიზმი. ამიტომ წამოაყენეს წინადადება შეჩერებულიყვნენ დასახელებაზე — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. მაგრამ სიტყვის „ავტონომიურის" წინააღმდეგ ილაშქრებს დეპუტატთა გარკვეული ნაწილი. თუ ამ სიტყვას ამოვიღებთ, ამით შევცვლით არა მარტო აფხაზეთის სტრუქტურულ შინაარსს, არამედ საქართველოს სტრუქტურულ წარმონაქმნსაც, რისი უფლებამოსილებაც არა აქვს აფხაზეთის უზენაეს საბჭოს. ამიტომ ჩვენმა დეპუტაციამ წამოაყენა წინადადება, შეიქმნას აფხაზეთის მთავრობის კომისია და შევუდგეთ მოლაპარაკებას საქართველოს ხელმძღვანელობასთან ავტონომიური რესპუბლიკის ფუნქციების, სტატუსისა და მოწყობის განმტკიცების საკითხზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეხვედრა დღემდე არ შემდგარა.

**— ბატონო თამაზ, რატომ ახსენეთ სიტყვა „აფეთქებასაშიში", ნუთუ ასე გართულდა საქმე?**

— ეს სიტყვა წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით გამოვიყენე, რადგან მწიფდება საპარლამენტო კრიზისი, რომელიც ჩიხში შეგვიყვანს. შემიძლია კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა. უკანასკნელ ხანს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცალმხრივი წესით მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც, როგორც ღრმად მწამს, არღვევენ აფხაზეთისა და საქართველოს კონსტიტუციებს. კერძოდ, შეიქმნა ეგრეთ წოდებული დროებითი სამხედრო საბჭო, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, შეიქმნა მონონაციონალისტური სამხედრო ფორმირებანი, გამოეყვნენ საქართველოს იურისდიქციიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, მილიციის სახაზო განყოფილება, რკინიგზა, აეროპორტი და სხვა ორგანიზაციები. ამასთან ყოველივე ეს მოხდა ისე, რომ არ შეუტყობინებიათ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისთვის და უგულებელყვეს მათი ინტერესები, რომლებსაც ისინი ახლავე უნდა დაქვემდებარებოდნენ. ვფიქრობ, რომ ყველა ეს საკითხი უნდა გადაწყდეს არა კულუარებში, არა ერთმანეთის ზურგს უკან, საქართველოში შექმნილი კრიტიკული ვითარების გამოყენებით, არამედ კოლეგიურად, მოლაპარაკების მაგიდასთან, საპარლამენტო გზით. დარწმუნებული ვარ, რომ ამაში მხარს დაგვიჭერს აფხაზეთის ხალხი, რომელსაც ჩვენ ძალზე ხშირად ვიმოწმებთ ხოლმე, მაგრამ მხედველობიდან გვრჩება ის, რომ ხალხი დაიქანცა ამ პოლიტიკური თამაშებით და მშვიდად ცხოვრება და შრომა მოენატრა. ვსარგებლობ რა შემთხვევით, კიდევ ერთხელ მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენ არა გვაქვს გადაუჭრელი პრობლემები, კონფრონტაციის რაიმე მნიშვნელოვანი საბაბი, და ამიტომ ყველა ჩვენი საჭირბოროტო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების მაგიდასთან.

**— მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არა ერთხელ თქმულა, რომ აფხაზეთს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მიმართოს დახმარებისთვის კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას. რას იტყოდით ამის თაობაზე?**

— აფხაზეთის ტელევიზიით ერთ-ერთი გამოსვლისას კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის პარლამენტის წევრმა ბატონმა სოსლანბეკოვმა განაცხადა, რომ კონფედერაციის შეიარაღებულ ძალებს უფლება აქვთ დაიცვან მოძმე აფხაზ ხალხს საქართველოს მხრივ ნებისმიერი ზემოქმედების შემთხვევაში. ჯერ ერთი, ამ ჯარების შემოყვანა, ალბათ, უნდა შეფასდეს როგორც საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა. მეორეც, ქართველი და აფხაზი ხალხები ისტორიულად იყვნენ და რჩებიან მოძმე ხალხებად, რომლებიც ცხოვრობენ ერთი ცის ქვეშ, ერთ ტერიტორიაზე და ამიტომ არც აფხაზებს, არც ქართველებს არავის მეურვეობა არ სჭირდებათ. ჩვენ ხომ სისხლი, ოჯახები, ნათესაური და მეგობრული გრძნობები გვაკავშირებს და დარწმუნებული ვართ, რომ როგორც ქართველები, ისე აფხაზები არ აღმართავენ ერთმანეთზე ხელს. ისე რომ, აფხაზეთს არავისი დახმარება არ სჭირდება. და მაინც, ამ დღეებში ანალოგიური განცხადებანი გაკეთდა გაზეთ „რესპუბლიკა აფხაზიაში", რამაც გაუგებრობა და შეშფოთების გრძნობაც კი გამოიწვია თვით აფხაზთა შორის. აქ უნდა ვთქვა, რომ როგორც პრესა, ისე ტელევიზია ზოგჯერ ცალმხრივად აშუქებენ აფხაზეთის ამბებს, იგივე აფხაზეთის ტელევიზია კი ხომ შექმნილია არა მარტო აფხაზეთის, არამედ ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხებისთვისაც. და, როგორც ჩანს, ტელევიზიის ხელმძღვანელობამ უმჯობესია იფიქროს როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე მაუწყებლობის მოსაგვარებლად. აფხაზეთის კონსტიტუციის თანახმად ხომ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენებია როგორც აფხაზური, ისე ქართული და რუსული.

**— თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს მომავალში მთლიანად საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო?**

— საქართველოში მომხდარი მოვლენები, რა თქმა უნდა, ტრაგიკულია, ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს ღრმა სამძიმარი გამოვუცხადო დაღუპულთა ახლობლებსა და ნათესავებს. თითოეული მათგანი ხომ თავისებურად იბრძოდა და დაიღუპა თავისი ხალხის კეთილდღეობის, სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის. მათი ხსოვნა ნათელი უნდა იყოს. ყოველივე ამან შექმნა რესპუბლიკაში როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კრიზისი, და ახლა ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავაღწიოთ მას თავი. მხოლოდ კონსოლიდაცია და ერთმანეთის პატივისცემა, ურთიერთგაგება და ურთიერთდახმარება მოგვცემს საშუალებას თავი დავაღწიოთ ამ კრიზისს და შევარიგოთ ძმები ერთიანი, განუყოფელი საქართველოს საკეთილდღეოდ. ვფიქრობ, რომ ასეთია აფხაზეთის მთელი ქართველი მოსახლეობის და არა მარტო მათი, აზრი. მოვუწოდებ ჩემს თანამემამულეებს, გამოიჩინონ კეთილგონიერება, აწონ-დაწონილად, გონივრულად მიუდგნენ ყველა საჭირბოროტო, თუნდაც მწვავე პოლიტიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში საჭიროა მშვიდი დიალოგი და არა აგრესია, შეიარაღებული დაპირისპირება.

**თენგიზ ჯიბუტი.**

# მინიჭება ნიჭიდან უნდა მოდიოდეს

**დღეს ჩვენში, მეცნიერების მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც საზოგადოებისა საერთოდ. ამიტომ ამაზე ლაპარაკი არ ღირს. საკმაოდ კარგად არის გარკვეული მიზანიც: გვინდა გვქონდეს თანამედროვე მსოფლიო დონეზე მდგომი, დინამიკურად განვითარებადი და უკუგებითი მეცნიერება. ამისათვის კი საჭიროა, რომ მეცნიერთა საძმოს უწყვეტად ავსებდეს ნიჭით, კატორღული შრომის უნარითა და პედანტიზმამდე მისული პასუხისმგებლობით შემკული ახალგაზრდობა.**

დღეს, როცა შემტევმა უნიჭობამ (ზოგჯერ კი აშკარა ცინიზმმა) უტიფრად დაჩაგრა არა მარტო უფრო ნიჭი (ასეთები ბევრია), არამედ ენერგიული ნიჭიც (ასეთები ცოტაა), ცალკეული პირების — თუნდაც გამორჩენილი პირების — კეთილი სურვილებით ნაკარნახევი მცდელობა საქმეს ვეღარ შველის (ცალკეულ შემთხვევებზე არ მოგახსენებთ) და ვეღარ აჩერებს უნიჭობა-უმეცრება-პროტექციონიზმის წამლეკავ ნიაღვარს, რომელშიც ნიჭიერები ისე იძირებიან, რომ ბუშტების ამოშვებასაც ვერ ასწრებენ, რომ ვინმემ მაინც დაინახოს.

ცნობილი აქსიომაა — ნორმალურად ვითარდება ის საზოგადოება, რომელსაც მართავს არა პიროვნება, თუნდაც გენიალური, არამედ ხალხის მიერ მოწონებული და სამოქმედოდ სავალდებულო კანონები. მეცნიერებასაც უნდა მართავდეს საქმის ინტერესების უზენაესობის შესაფერისად აწყობილი მექანიზმი, რომელიც კომპიუტერული მიუდგომლობით დაადგენს, როდის უნდა ჩაირთოს მწვანე შუქი და როდის — წითელი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მოითხოვს გავლას (ამბობენ, რომ კომპიუტერის „დაავადების" შემთხვევები უკვე იყო, მაგრამ ძმობით ან სხვა რამით ჯერ პირი არ შეურცხვენიათ).

ყველგან და ყველაფერში საჭიროა საქმის, მოვლენის კვალიფიკაციის დადგენა. ასეა მეცნიერებაშიც. აქ კვალიფიკაციის დადგენის ძირითადი ხერხი სამეცნიერო ნაშრომის — დისერტაციის დაწერა და დაცვაა. მაგრამ შეიძლება კი დისერტაციის განხილვა-შეფასების ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც მთლიანად გამორიცხავს სუბიექტივიზმს და იღალადებს მხოლოდ ჭეშმარიტებას. ვითარცა ბაგინი ყრმათა? მთლიანად — რა მოგახსენოთ, მაგრამ დღეს არსებულ მდგომარეობაზე უკეთესის მიღწევა შეიძლება, რადგანაც ბევრ რამეში დისერტაციის დაწერა-დაცვა-დამტკიცების დღეს არსებული სისტემა ძალიან წააგავს ეკლიან ღობეს, რომელსაც ან უნდა გადაახტე, თუ მუხლი გიჭრის, ან ვისიმე ძლიერმა ხელმა უნდა გადაგსვას. საჭიროა მექანიზმი, რომელიც ამ „გადასმულთა" რაზმს ისე მაინც შეამცირებს, რომ იერიშზე, გადასვლის ხალისი მაინც აღარ ჰქონდეს. ასეთ მექანიზმად ჩვენ მიგვაჩნია დისერტაციის განხილვა-შეფასების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ამ პროცესში მონაწილეობს ყველა, ვინც უნდა მონაწილეობდეს (მინდა-არმინდა გამორიცხულია, რადგან სპეციალისტმა ნებაყოფლობით იკისრა ასეთი ვალდებულება, როდესაც სადისერტაციო საბჭოში მუშაობაზე დათანხმდა), ვინც უნდა გამოიჩინოს თავისი, როგორც მეცნიერის, პერსონალური დამოკიდებულება დისერტაციისადმი და კოლეგებთან ერთად გაიზიაროს პასუხისმგებლობა მისი ბედის გადაწყვეტისას. ვიცით, რამდენად ძნელია ამის გაკეთება ჩვენთან, როდესაც პროტექციონიზმი თითქმის ეროვნული რანგის მოვლენად იქცა. მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ მეტი გზა არ არის, თუკი, ცხადია, ვეძებთ გზებს.

დისერტაცია თემის შერჩევიდან იწყება. გამოწვლილვით უნდა მოწმობდეს ყოველი თემა — არის კი იგი პრობლემური და სადისერტაციო, თუ მისი არსი ერთ საჟურნალო წერილშიც ხალვათად მოთავსდება? სწორედ წვრილთემიანობამ და უპრობლემურობამ შეუბღალა სახელი დისერტაციას და უნაყოფო ყვავილად აქცია მეცნიერების დიდ მინდორზე. დისერტაცია სამეცნიერო გამოკვლევაა და ბევრი თუ არა, ორი კომპონენტი მკაფიოდ უნდა ჩანდეს — მეცნიერული სიახლე და ამ სიახლის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, სარგებლიანობა.

მექანიზმი, რომელზეც ვლაპარაკობთ, ჩვენ ასე გვესახება:

**სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა.** საბჭოს ჰყავს მუდმივი წევრები, ვთქვათ, 5-8 კაცი თითო სპეციალობის მიხედვით, და დარგობრივი წევრები დაახლოებით ამავე რაოდენობით თითო სპეციალობაში. დარგობრივი წევრების მოწვევა ხდება დისერტაციის პროფილის მიხედვით. ისინი მოწვევის შემთხვევაში სარგებლობენ გადამწყვეტი ხმის უფლებით, როგორც მუდმივი წევრები. როგორც მუდმივი, ისე დარგობრივი წევრების მონაწილეობა სათანადო პროფილის დისერტაციის განხილვა-შეფასებაში უნდა ითვლებოდეს სავალდებულოდ, რაც, ცხადია, უნდა ფიქსირდებოდეს.

**ავტორეფერატი** ერთგვარად მინიდისერტაციაა, ამიტომ ისიც უნდა ფასდებოდეს სათანადო ბიულეტენით სხდომის დაწყების წინ, ხოლო ამგვარი შეფასების შედეგები შეჯამდეს და გამოცხადდეს დაცვის შედეგების გამოცხადებასთან ერთად, ოღონდ ცალ-ცალკე. არ ვიცი, არის კი საჭირო იმის მტკიცება, თუ რამდენად გააქტიურებდა და გააღრმავებდა ეს საბჭოს წევრთა დამოკიდებულებას საქმისადმი და აამაღლებდა დისერტანტის პასუხისმგებლობას ავტორეფერატის მომზადების საქმეში. ტექნიკურად ამის გაკეთება არავითარ დამატებით ძალისხმევას არ მოითხოვს.

**დისერტაციის დაცვის სავალდებულო ელემენტი** უნდა იყოს დისერტანტის მიერ იმ პრობლემების (დებულებების) გამოცხადება, რომლებიც მას გამოაქვს საბჭოზე დასაცავად ან დასადასტურებლად, იმის კონკრეტული მითითებით, თუ რა სიახლეა შემოტანილი მეცნიერებაში, რაც აქამდე არ ყოფილა ნათქვამი. ამავე მიზანს — მეცნიერული სიახლის წარმოჩენას — უნდა ემსახურებოდეს ოფიციალური და არაოფიციალური ოპონენტების გამოსვლებიც. ასეთი მიდგომა საქმესაც წაადგებოდა და დროც დაიზოგებოდა, რომლის დეფიციტიც ქრონიკულია. ნათქვამია, ლაქები მზესაც აქვსო. ნამდვილ მეცნიერულ შრომაში ყოველთვის აღმოჩნდება სადავო და საკამათო, შეიძლება, მცდარი აზრიც, მაგრამ მთავარი ის დადებითი უნდა იყოს, რაც დისერტანტმა შესძინა მეცნიერებას. ყველაფერს ამას თან უნდა ახლდეს სხვა მკვლევართა მონაპოვრების აღნიშვნა და დაფასება, რაც კი არ დააკნინებს, არამედ უფრო კეთილად წარმოაჩენს დისერტანტის მეცნიერულ კეთილსინდისიერებას. ამასთან დაკავშირებით ერთი დეტალი: საქმის გაკეთების ფორმასა და რიტუალებს ყოველთვის ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა წარმატების მიღწევისათვის. არ იქნებოდა, ალბათ, ურიგო, თუ დისერტაციაზე, ავტორეფერატზე და კენჭისყრის ბიულეტენზე მუდმივ ეპიგრაფად ვაქცევდით არისტოტელეს ცნობილ გამოთქმას: ამიკუს პლატო, სედ მაგის ამიკა ვერიტას („პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია"), ცხადია ლათინურად. რა თქმა უნდა, ეს წარწერა ვერ შეაჩერებს უპრინციპობას, მაგრამ იქნებ მერყევნი მაინც ჩააფიქროს.

**სადისერტაციო საბჭოში მუშაობა** დიდი დატვირთვაა საბჭოს წევრთათვის, თანაც ხშირად უმადური დატვირთვა. წლების მანძილზე ტვირთის ზიდვა მხოლოდ ენთუზიაზმის ხარჯზე არაეთიკურია და საბოლოოდ წამგებიანიც. ამიტომ უკვე დროა, მოიძებნოს ამ შრომის ანაზღაურებისა და წახალისების რაღაც ფორმები (მაგალითად: სამსახურებრივი დატვირთვის რაღაც დოზით შემცირება, რეცენზირების უკეთესი ანაზღაურება — დღევანდელი „ანაზღაურება" — 25-50 მანეთი — დაცინვა უფროა, — მაღალკვალიფიციური რეცენზიების როგორც მეცნიერული შრომების გამოცემა, პრესტიჟული სამეცნიერო მივლინება; ოფიციალურად მადლობის გამოცხადება, რაიმე პრემიის მიცემა, ატესტაციაში შეტანა...

„დებულება" სადისერტაციო საბჭოების მუშაობის შესახებ, დისერტანტისა და საბჭოს უფლება-მოვალეობანი, შესაძლებელი კონფლიქტის მოგვარების მექანიზმი, სათანადო დოკუმენტაციის ნიმუშები, მუშაობის ყველა ეტაპის მკაფიო რეგლამენტაცია და სხვა უნდა დამუშავდეს ისეთი სიზუსტით, რომ მაქსიმალურად უწყობდეს ხელს ერთი მთავარი მიზნის მიღწევას — მეცნიერება უნდა გათავისუფლდეს იმათგან, ვინც ღმერთს საამისოდ არ გაუჩენია, ნიჭს კი მოძღვნა და პატრონობა სჭირდება, რადგანაც თავისი შეძლების ნიჭზე უფრო დიდი სიმდიდრე ხალხს არ გააჩნია და მისი დაკარგვა ვიღაცის გულგრილობის გამო...

არის კი სიტყვა ასეთი ქმედების შესაფასებლად?

**გიორგი წიბახაშვილი,**
**პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი.**

## ამ დღეების სარედაქციო ფოსტიდან: სპექტრი

# პერიფერიაში ცენტრის დარად

**დღევანდელმა დროებითმა მთავრობამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების დასამკვიდრებლად. უკვე დაიწყო მიწის რეფორმის პირველი ეტაპი, პრივატიზაცია; მოქმედებს პოლიტიკურ ორგანიზაციათა რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო, რომლის მუშაობაშიც ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალას აქვს მონაწილეობის საშუალება და შეუძლია ფრიად მნიშვნელოვანი როლის შესრულება რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში.**

ამ სასიკეთო პროცესებს აქტიურად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. ამ წერილში ჩვენ გვინდა სწორედ მათზე ვიმსჯელოთ.

ცენტრის დარად რაიონებშიც შეიქმნა პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოები, რომელთაც, თუკი ისინი თავიდანვე სწორად წარმართავენ საქმიანობას, შეუძლიათ უდიდესი როლი შეასრულონ ქალაქისა თუ რაიონის ცხოვრებაში.

თავად განსაჯეთ: რაიონისა თუ ქალაქის ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიან პოლიტიკურ ძალას პირველად ეძლევა საშუალება ერთად, კოლეგიალურად განიხილოს რეგიონის კონკრეტული პრობლემები. საკოორდინაციო საბჭოს შეუძლია მოიზიდოს და მუშაობაში ჩააბას რაიონისა თუ ქალაქის ავტორიტეტული პიროვნებები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

ყველა პარტიას, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასა თუ ბლოკს აქვს თავისი საკუთარი ინტერესები. და დღეს მთელ საქართველოში, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში არის პოლარულად დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები. მაგრამ ამაში ცუდი არაფერია, რადგან საკოორდინაციო საბჭოს სახით არსებობს ორგანო, ინსტიტუტი, სადაც შესაძლებელია ამ წინააღმდეგობის მშვიდობიანი, პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრა, ეს ძალები ერთმანეთს გააკონტროლებენ და რეგიონის წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისას, უეჭველია, კამათში გაიმარჯვებს ყველაზე უფრო სწორი აზრი, ჯანსაღი მიდგომა.

პირდაპირ უნდა ითქვას: რაიონების საკოორდინაციო საბჭოების ავტორიტეტი, ძალა და გავლენა იმაზეა დამოკიდებული, გააერთიანებს თუ არა ის რაიონებში არსებულ, უკლებლივ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას. ჩვენ აღარა გვაქვს უფლება ვიაროთ ძველებური მცდარი გზით, გავიმეოროთ ძველი შეცდომები, როცა ყოფილი ოფიციალური ხელისუფლება არ ცნობდა ოპოზიციას, ოპოზიციურ პარტიებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს. ახლა ცენტრსა და რეგიონებში ინიციატივა ყოფილი ოპოზიციური ძალების ხელთაა, მათი ძალისხმევით არის შექმნილი საკოორდინაციო საბჭოები. აქ მათ წამყვანი პოზიციები უჭირავთ და სწორედ ახლა საქმით შემოწმდება თუ რისთვის იბრძოდნენ ეს ძალები, როცა ოფიციალური ხელისუფლების მიერ დევნილი ოპოზიცია იყვნენ, — მართლა დემოკრატიისათვის თუ მხოლოდ პირადი ძალაუფლებისათვის. ახლა ბევრწილად მათზეა დამოკიდებული თუ რა მონაწილეობას მიიღებენ მათი ინიციატივით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოების მუშაობაში დღევანდელი ოპოზიციური ძალები.

რაიონების საკოორდინაციო საბჭოების ნორმალური, დემოკრატიულ საწყისებზე აგებული მოქმედებისათვის საჭიროა მუშაობის გარკვეული რეგლამენტი. ალბათ, ჯობს სხდომებს რიგ-რიგობით უძღვებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები. რაიონის წინაშე წამოჭრილი კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა კი უნდა ხდებოდეს ხმების უმრავლესობით. კენჭისყრაში ხმის უფლება უნდა ჰქონდეს საკოორდინაციო საბჭოს მიერ მოწვეულ რაიონის ავტორიტეტულ პიროვნებებს, დარგის სპეციალისტებს.

რაიონის (ქალაქის) საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებებს რეგიონის ოფიციალური ხელისუფლებისათვის, ცხადია, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ექნება, მაგრამ თუკი საბჭო თავის გარშემო შემოიკრებს რეგიონის ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, მოიზიდავს ავტორიტეტულ პიროვნებებს, საუკეთესო სპეციალისტებს, მაშინ, მის რეკომენდაციებსაც დიდი წონა ექნება. ასე, დემოკრატიულ საწყისებზე აგებული და მოქმედი მთელი საკოორდინაციო საბჭო ადგილობრივი ხელისუფლებისათვის იქნება კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელსაც ფასდაუდებელი წვლილის შეტანა შეუძლია რეგიონების წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაში.

ადგილობრივი და ცენტრალური წარმომადგენლობითი ხელისუფლების მომავალ არჩევნებში, ცხადია ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია თავისი პროგრამით გამოვა, თავისი ინტერესების დასაცავად იბრძოლებს. ბუნებრივია, იქნება მწვავე დაპირისპირება, კონფრონტაცია პოლიტიკურ ძალებს შორის, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს დაპირისპირება არ უნდა გამოვიდეს მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის ჩარჩოებიდან და, მეორეც, საარჩევნო ციებ-ცხელებამ არ უნდა დააზაროს დემოკრატიის პირველი უჯრედები — რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოები. ამ საბჭოებს უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ თვით საარჩევნო კამპანიის ცივილიზებული წესებით წარსამართავად. რეგიონებში არჩევნების ჩატარების შემდგომაც, მათ დიდი ხნის მანძილზე ექნებათ თავიანთი შეუცვლელი როლი და ფუნქცია მანამდე, სანამ ბოლომდე არ განხორციელდება ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის მიერ შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების დემონტაჟი. საკოორდინაციო საბჭოებს უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ პრივატიზაციის დაწყებულ პროცესშიც.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ რაიონებსა და ქალაქებში ჩამოყალიბებული პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოები დემოკრატიის პირველი ყლორტებია და ყოველი ჩვენგანის ვალია მათი მოფრთხილება, რათა ჭეშმარიტი დემოკრატიის კეთილი ნაყოფი გამოიღონ!

**ავთანდილ პოპიაშვილი,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.**

# ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიცხოვროთ

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციაში**

1992 წლის 26 მარტი ქართულ-ებრაულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა მატიანეში ისტორიული მნიშვნელობის თარიღად შევა — ისრაელის სახელმწიფომ ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ამავე დროს, საქართველოსა და ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელობის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციისა და სხვა ორგანიზაციების ბოლო წლების მოღვაწეობამ მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გაზარდა საქართველოსა და ქართველი ერის ავტორიტეტი ისრაელსა და მსოფლიოს ებრაულ სამყაროში.

მიმდინარე წლის 28 იანვარს ასოციაციის ხელმძღვანელობამ და მისმა საპატიო წევრმა ბ-ნმა რ. ელიგულაშვილმა ისრაელში პრეზიდენტ ბატონ ხაიმ ჰერცოგის სახელზე ჩაიტანა შემდეგი შინაარსის წერილი-მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოში მოქმედი სინაგოგებისა და ებრაული ორგანიზაციების ხელმძღვანელები:

„ბატონო პრეზიდენტო!

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ებრაელები ოცდაექვსი საუკუნეა ცხოვრობენ. ეს ებრაელთა ერთ-ერთი უძველესი დიასპორაა.

საქართველოს ებრაელთა ისტორია საქართველოს ისტორიის ერთი განუყოფელი ნაწილია. ქართველი და ებრაელი ხალხების ეს მრავალსაუკუნოვანი მეგობრული თანაცხოვრება არასოდეს შებღალულა კაცობრიობის იმ სამარცხვინო სენით, რომელსაც ანტისემიტიზმი ეწოდება. ჩვენი ხალხები ლხინშიც ერთად იყვნენ და მტრის წინააღმდეგაც გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ.

1918 წელს ქართველმა ხალხმა დაიხსნა თავი რუსეთის იმპერიისგან და გამოაცხადა სუვერენული დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც სცნო მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ. რუსეთის 1921 წლის კომუნისტური აგრესიის შედეგად დაკარგული დამოუკიდებლობა თავისუფლებისთვის მებრძოლმა ქართველმა ხალხმა კვლავ აღადგინა და 1990 წლის 31 მარტს საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგად გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც უკვე ცნო მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ.

ჩვენ, საქართველოს ებრაელებს, გვახსენდება 1948 წელს დამოუკიდებელი ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებით გამოწვეული ქართველი ხალხის აღფრთოვანება, რაც საუკეთესო მაგალითი იყო სხვა ერებისთვის დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლაში.

საქართველოს ებრაელობის სახელით მოგმართავთ თხოვნით, რომ ისრაელის სახელმწიფომ ცნოს საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც მტკიცედ დაადგა თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას, და დაამყაროს მასთან სრული დიპლომატიური ურთიერთობა. ამით კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერება ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრული თანაცხოვრების მატიანეში".

ისრაელის მიერ საქართველოს ცნობით გამოწვეულ სიხარულს ჩრდილი მიაყენა რამდენიმე დღის წინ კულაშში მომხდარმა შემზარავმა ფაქტმა, რომელიც გაცხადდა საქართველოს ტელევიზიით 26 მარტის საღამოს და რის შესახებაც უცხოეთის სააგენტოებიც გადმოსცემენ. ასოციაციას ეს ფაქტი მიაჩნია იმ ვანდალიზმის გაგრძელებად, რომელიც გამოიხატა ბოლო დროს თბილისში ებრაელთა სასაფლაოების დარბევის, საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სინაგოგების გაძარცვის და ებრაული ოჯახების ძარცვა-აწიოკების სახით. ყოველივე ეს ასოციაციას მიაჩნია, ერთი მხრივ, არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარების შედეგად, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული ძალების მიერ საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის შელახვის ცდად.

27 მარტს ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის დარბაზის სხდომაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ზემოთქმული და მიიღეს შემდეგი განცხადება:

1. სასწრაფოდ მხილებულ, საჯაროდ გასამართლებულ და დასჯილ იქნენ ამ დანაშაულობათა ორგანიზატორები და ჩამდენები.
2. მთელმა ქართველმა ხალხმა აღიმაღლოს ხმა, რათა საქართველოს ღირსების შემლახავი მსგავსი სამარცხვინო ფაქტები აღარ განმეორდეს.

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის სახელით:
**გივი ლამბაშიძე, ანდრია აფაქიძე, ჯემალ აჯიაშვილი, გურამ ბათიაშვილი, შოთა ბოსტანაშვილი, კოტე ბაბაშვილი, რაფიელ ელიგულაშვილი, ლევან იაკობაშვილი, ზურაბ კიკნაძე, კახაბერ ქორიძე, ჩესი ლეზგიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ოთარ სეფიაშვილი, დენიზა სუმბაძე, ლული შათაშვილი, სიმონ შათაშვილი, მზექალა შანიძე, თამაზ შილაკაძე, თინათინ ცქიტიშვილი, ბორის ჩიკვაშვილი, კონსტანტინე წერეთელი, შალვა წიწუაშვილი, ლევან ჰილაშვილი, მიხეილ ხახმიაშვილი, გიორგი ხუხაშვილი.**

თბილისი, 1992 წ. 27 მარტი.

ხელის მომწერებს

უყურადღებოდ ნუ დავტოვებთ

# იგვიანებს, გაზეთს ვერ იღებენ

**კავშირგაბმულობის ტყიბულის საქალაქო კვანძში 22 თებერვლის შემდეგ მხოლოდ 4 მარტს შემოვიდა ჟურნალ-გაზეთები. პრესის ასეთი დაგვიანებით შემოტანა უკანასკნელ პერიოდში ცალკეული შემთხვევა როდია. ამასთან ჟურნალ-გაზეთებს ყოველთვის დიდი დანაკლისით ღებულობენ. მაგალითად, 4 მარტს შემოსულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ოთხ ნომერს 1200 ეგზემპლარი აკლდა. 160 ეგზემპლარი აკლდა ჟურნალ „ნიანგს". ამ დღეს საერთოდ არ შემოსულა სხვა გაზეთების ნომრები. გასაკვირი არ არის, რომ ძირითად მიზეზად დიდთოვლობით გამოწვეულ უგზოობას დაასახელებენ (თუმცა მსგავს ფაქტებს ზაფხულშიც ჰქონია ადგილი).**

რამდენიმე თვეა ტყიბულში თვალით არავის უნახავს თბილისის ავტობუსი, რომელსაც წინათ შემოჰქონდა პრესა. ახლა ავტობუსი მხოლოდ თერჯოლამდე მოდის, სადაც ტოვებს ტყიბულის კუთვნილ ჟურნალ-გაზეთებს. არავითარი კონტროლი არ არის დაწესებული მათი ზედდებულით მიღების, ხოლო შემდეგ ტყიბულისათვის ამავე დადგენილი წესით გადაცემის საკითხზე. გამორიცხული არ არის, რომ ხელმომწერთა ხარჯზე მავანი და მავანი ხელს ითბობდეს ტყიბულისთვის დაკლებული პრესით. შემდეგ კი თერჯოლიდანაც დიდი დაგვიანებით ხდება ტყიბულში პრესის შემოტანა. ამას წინათ კავშირგაბმულობის სამინისტროდან დეპეშა მოვიდა, რომ პრესას ქუთაისიდან მიიღებდნენ, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ არაფერი გაკეთებულა. ათეული წლების წინათ, როდესაც ფოსტის შემოტანა მატარებლით ხდებოდა, ასეთი ხარვეზები არ იყო. 1-2 კვირის ჟურნალ-გაზეთების დახარისხებას, დატარებას, ბუნებრივია, მთელი რიგი სირთულეები ახლავს. ფოსტალიონთა ნორმალურ მუშაობას ამასთანავე ხელს უშლის ჩაბნელებული ქუჩები, ზოგიერთ საცხოვრებელ სახლში საფოსტო ყუთების უქონლობა (საბონენტო კარადები კი საერთოდ არ არის დადგმული კერძო დასახლების უბნებში). ნორმალური მუშაობის კიდევ სხვა ხელისშემშლელ მიზეზებთან ერთად ხელის მომწერები ასახელებენ სამსახურებრივი მოვალეობისადმი ზოგიერთი ფოსტალიონის აშკარა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ მათი შრომის ანაზღაურება საკმაოდ გაიზარდა, მომსახურების დონე ამის შესაბამისად ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. კარგ ამინდშიც ზოგიერთი ფოსტალიონი სურვილისამებრ, დაგვიანებით ან ნომრების გამოკლებით აწოდებს ხელის მომწერებს გაზეთსა თუ ჟურნალს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ბევრი ხელის მომწერი იძულებულია გამოწერილი პრესა ჯიხურში შეიძინოს საგრძნობლად გაძვირებულ ფასად. ხელმძღვანელი მუშაკები ცუდი მუშაობისათვის „ვერ ბედავენ" ფოსტალიონთა გათავისუფლებას, რადგან შემცვლელი კადრების მოზიდვაც დიდ პრობლემად ქცეულა თურმე.

**გივი ბეწაძე.**

[illegible]

# ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲘᲜᲐᲗᲐ!

[illegible] საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი, გვაიძულებს მივიდეთ მრავლისმეტყველ და დამაფიქრებელ დასკვნებამდე.

საქმე ის გახლავთ, რომ 1991 წლის 26 მაისის შემდეგ, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების დღიდან განვლილი პირველი თვეების მანძილზე საკუთრივ საქართველოს რესპუბლიკის დამ[illegible]ყალიბების ზემოხსენებულ მონაკვეთზე საქართველოს დამოუკიდებლობა არ ცნეს შესაძლებლად არც რუსეთის ფედერაციამ, არც შუა აზიის ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა და დასავლეთ ევროპის არც ერთმა სახელმწიფომ. მართალია, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს აშშ-მა და კანადამ, მაგრამ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა იმ[illegible] ერთი ქვეყანა, რომელმაც ახლახან მოგვმართა კონკრეტული წინადადებით თავისი ელჩის დანიშვნის თაობაზე, ამასთან, ელჩის რეზიდენცია კიევში იქნება (ყოველ შემთხვევაში — ამ ეტაპზე).

3 თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თურქეთის პრემიერ-მინისტრმა მოიწერა, რომ თურქეთის „მთავრობას სურს [illegible] დასვლის გზას აღარ გადაუხვევს.

ჩვენ ყველა მოწმენი და მონაწილენი ვართ იმედის მომცემი და პრინციპული ხასიათის ცვლილებებისა, რომლებიც ხდება ამ ბოლო დღეებში ჩვენს ცხოვრებაში. გაუქმდა სამხედრო საბჭო და ქვეყანას მართავენ სამოქალაქო სტრუქტურები — სახელმწიფო საბჭო და [illegible]

[illegible]იარებული პრინციპების შესაბამისად სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, სხვა დარგების აღორძინებას.

თვალნათლივ გაუმჯობესდა საწარმოებისა და მოსახლეობის, ქალაქებისა და სოფლების უზრუნველყოფა ელექტროენერგიით, გაზით, საწვავით, ამუშავდა მეტრო, საქალაქო ტრანსპორტი. არის ძვრები პურითა და სხვა სურსათით მომარაგებაში. სამწუხაროდ, კვლავ დიდ შეშფოთებას იწვევს აზვირთებული დანაშაულებრიობა.

ცნობილია, როდესაც ქვემეხები „საუბრობენ", მუზები სდუმან. ამდენად, სასიხარულოა, რომ ისევ ახმაურდნენ საკონცერტო დარბაზები, გამოცოცხლდნენ თეატრები, ისევ იკრიბებიან თავიანთ ყრილობაზე საქართველოს მწერლები.

დაიწყო ბილიკებისა და გზების გაკვალვა რათა კეთილი ნებისა და სამართლიანობის საძირკველზე მშვიდობა დაუბრუნდეს შიდა ქართლს, აქაურ ოს და ქართულ მოსახლეობას, ბოლო მოეღოს კონფრონტაციას აფხაზეთსა და სამეგრელოში, მოიხსნას ერთგვარი დაძაბულობა აჭარაში.

უახლოეს მომავალში იწყება წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ბედის განმსაზღვრელი გახდება ქართველებისთვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის.

იგრძნობა როგორ იღვიძებს ნდობა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი, კლებულობს გათიშულობა, ხალხს უბრუნ[illegible] აღდგენის გარანტიად მიიჩნევენ.

დასავლეთში რომ ამ გარანტიებს განიხილავენ როგორც საკმარისად საიმედოს, ამაზე მეტყველებენ ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწეების მისალმებები, როგორებიც არიან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. მეიჯორი და საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ჰერდი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. დიუმა, იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯ. ანდრეოტი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. დე მიკელისი, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. ფორდენიესი, ნიდერლანდის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ვან დენ ბრუკი, იუნესკოს გენერალური დირექტორი ფ. მეიორი და სხვები. მარტში საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს პერუმ და ნორვეგიამ. ისინი კეთილი მაგალითის მიმცემი აღმოჩნდნენ. აჰა, ასრულდა — 23 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობა ერთდროულად ცნო 12 სახელმწიფომ. ესენი არიან: გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია, ნიდერლანდი, ლუქსემბურგი, ირლანდია, ისლანდია, საბერძნეთი. ფაქტობრივად — მთელი დასავლეთი ევროპა!

ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც გვაცნობეს, რომ აშშ თანახმაა დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან და უახლოეს მომავალში დააარსებენ საელჩოს თბილისში. ეს ფაქტი საბოლოო გარდატეხის ტოლფასია და საფუძველს გვაძლევს თამამად შევაბიჯოთ საერთაშორისო თანამშრომლობის ასპარეზზე, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს წინაშე მდგარი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად.

არ შეიძლება არ გაგვახაროს იმანაც, რომ ისრაელის მთავრობამ ცნო საქართველო.

წარმატებით ჩაიარა საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დელეგაციების საქმიანმა ვიზიტმა და გვაქვს საფუძველი გვჯეროდეს, რომ ახლო მომავალში ეს უდიდესი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებები დააკმაყოფილებენ საქართველოს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. ამგვარად, კარი გაგვეხსნება, რათა გავხდეთ მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი. ამასთანავე უფლება მოგვეცემა ვისარგებლოთ ფონდისა და ბანკის მრავალმხრივი ტექნიკური დახმარებითა და მრავალმილიონიანი კრედიტებით. იწყება საკმაოდ მასშტაბური ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელება, რასაც, დანარჩენი რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველო აქამდე მოკლებული იყო. ჩვენთვის ამ საარსებო პრობლემასთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინათ ბელგიაში იყო საქართველოს სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის ბ-ნ ო. ქვილითაიას მეთაურობით.

ჰელსინკში გადაწყდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საქმიანობაში საქართველოს ჩართვის საკითხი. ყოფილი სსრ კავშირის 15 რესპუბლიკიდან დღეს მარტო საქართველო არ არის გაეროს წევრი. მაგრამ დარწმუნებულები ვართ — მალე ბოლო მოეღება ჩვენთვის ამ დასანან, მაგრამ, ამასთანავე, კანონზომიერ ფაქტსაც.

ამგვარად დღეს ჩამოყალიბდა იმის პირობები, რომ სამუდამოდ შეწყდეს საქართველოს დამამცირებელი საერთაშორისო იზოლაცია.

შეიძლება ითქვას, ინათა!

იწყება ჩვენი სამშობლოს რეალური პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობის აღდგენის, მისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, მთელი ჩვენი ერის ცხოვრების სრული განახლების კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ეს იქნება ხანგრძლივი, არანაკლებ რთული და, ალბათ, წარმოუდგენლად მძიმე პროცესი. მხოლოდ და მხოლოდ თითოეულ ჩვენგანზეა მთლიანად დამოკიდებული, რამდენად წარმატებით შევძლებთ დავძლიოთ ცხოვრების თუნდაც ელემენტარულად ადამიანური პირობების აღდგენის მრავალწახნაგოვანი ამოცანა, რამდენად შეუფერხებლივ გავივლით გზის ამ მონაკვეთსაც.

ავტორისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ამ წერილის გამოქვეყნება გადაიდო 3 დღით. ამ ასობაში მოხდა კიდევ რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებსაც, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო:

პირველი: რუსეთის ფედერაციას განზრახული აქვს „აუშვას" ფასები საწვავზე, რომლებიც ამის შედეგად რამდენიმე ათეულჯერ გაიზრდება. ეს, თავის მხრივ, იმდენად გაზრდის ნებისმიერი ნაწარმის თვითღირებულებასა და, შესაბამისად, ფასებს, რომ ამგვარი ჰიპერინფლაციის შედეგად რესპუბლიკის რამდენიმე ასეული საწარმო გაკოტრდება, რაც გამოიწვევს მრავალი ათასი მუშა-მოსამსახურის უმუშევრობას.

მეორე: საქართველო ცნეს ავსტრიამ, ფინეთმა, მოსალოდნელია იაპონიის მხრივ ცნობაც, რესპუბლიკა გახდა ჰელსინკის პროცესის სრულუფლებიანი მონაწილე. შეერთებულმა შტატებმა განაცხადეს, რომ მზად არიან შეუქმნან საქართველოს მაქსიმალურად პრივილეგირებული პირობები ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში. მალე თბილისში ჩამოდის ჯერ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი, ხოლო შემდეგ — გერმანიის ფედერაციული კანცლერის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ჰანს-დიტრიხ გენშერი. ამგვარად, მაქსიმალურად ოპტიმალური წინამძღვრები ექმნება მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობაში საქართველოს ინტეგრაციას, ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობის დასავლეთის მასშტაბური დახმარების, სესხების, კრედიტების მიღებას.

მესამე: დასავლეთ საქართველოში ისევ წამოყვეს თავი ძალებმა, რომლებიც, ბოროტად გამოიყენეს რა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კეთილი ნება, გაშმაგებით ცდილობენ ისევ აამღვრიონ წყალი, არ დაუშვან სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილიზაციის აღდგენა.

ამგვარად, ხელოვნურად იქმნება ძნელად დასაძლევი დაბრკოლებები მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის გზაზე, ურომლისოდაც, როგორც ზემოთ ითქვა, ქართველ ხალხს უახლოეს თვეებში საშინელი განსაცდელი ელის.

იბადება კითხვა: შემთხვევითი, სტიქიურია საქართველოში დაძაბული ვითარება, თუ მავანთა და მავანთა პირად ალზევებას ემსახურება?!

მკითხველმა თავად გასცეს პასუხი.

**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲝᲠᲓᲔᲚᲐᲫᲔ,**
საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი.

# ᲕᲐᲘ, ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲝ!

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲛ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲩᲐᲡᲣᲚᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲐᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲘᲔᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ.**

ორი თვის წინ, ყოფილი სსრ კავშირის, ამჟამად კი რუსეთის საელჩოდან საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო, რომელშიც იუწყებოდნენ თურქეთის ქალაქ რიზეში საქართველოდან ჩასული 14 მოქალაქის დაპატიმრებას. დეპეშაში დასმული იყო საკითხი მოევლინებინათ ადვოკატი მათი ინტერესების დასაცავად.

მთავრობასთან საკითხის შეთანხმების საფუძველზე საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების დავალებით ქალაქ რიზეში მივლინებული ვიყავი საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკთან ზ. მეძღლიშვილთან ერთად. ერთი კვირა ვიმუშავეთ ვილაიეთის სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებთან — მთავარ პროკურორთან და სასამართლოს თავმჯდომარესთან. ადვოკატის მოწვევა გამორიცხული იყო, რადგან თურქეთის კანონმდებლობით საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოსვლის უფლება ყველა შემთხვევაში აქვს მხოლოდ თურქეთის ადვოკატთა კორპორაციის წარმომადგენელს.

რიზეს ვილაიეთი ჩვენი რესპუბლიკის მეზობლადაა, ჩვენი რესპუბლიკიდან ჩასული თურქეთისათვის სასურველი თუ არასასურველი სტუმრების რიცხვი აქ მოჭარბებულია. ვილაიეთის მთავარი პროკურორის ბატონ მუსტაფა გიუვენის ოფიციალური ცნობით უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში მარტო ჩვენი რესპუბლიკის 49 მოქალაქის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელთა ნაწილი უკვე გასამართლებულია და სასჯელს იხდის.

თურქეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობას უკიდურესად მკაცრი დამოკიდებულება აქვს ისეთი დანაშაულისადმი, როგორიც კონტრაბანდაა, მეტადრე თუ კონტრაბანდით სახელმწიფოში შეაქვთ საბრძოლო იარაღი, მისი საჭურველი (ტყვია-წამალი), ასაფეთქებელი და აალებადი ნივთიერება. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, უმცირესი სასჯელი თოფის წამლის ან საბრძოლო ვაზნების შეტანისთვის [illegible] წლით თავისუფლების აღკვეთა და რაიმე შეღავათებზე ლაპარაკი ფაქტობრივად გამორიცხულია.

აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ თურქეთის კანონმდებლობა პატიმრების მიმართ მეტად მცირე შეღავათებს ითვალისწინებს და სასჯელის მოხდის რეჟიმი ბევრად უფრო მძიმე და მკაცრია, ვიდრე ჩვენ გვჭონია. პატიმრები სასჯელს ძირითადად საუსალოს პირობებში იხდიან, სადაც მცირედი დარღვევისთვის მეტად მძიმე ადმინისტრაციული ღონისძიებები ხორციელდება. დამნაშავეთა სამყაროს „კანონებიც" მეტად მკაცრია და ყოველივე ეს განსაკუთრებით საგრძნობია იმ პატიმრების მიმართ, რომლებმაც ენა არ იციან და არ იცნობენ ადგილობრივ ადათ-წესებს.

ვილაიეთის მთავარი პროკურატურა და სასამართლო უკმაყოფილონი არიან სარფის თურქეთის საბაჟოს მუშაობით, რომელიც სათანადო ყურადღებას არ უთმობს კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ჩვენი საბაჟოს მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და გაკვირვებას გამოთქვამენ, რადგან ქართული საბაჟო უზრუნველყოფილია მნიშვნელოვანი ტექნიკით და თვალს ხუჭავს ისეთი საგნების გატარებაზე, როგორიც საბრძოლო საჭურველი და კონტრაბანდის სხვა საგნებია...

საბაჟოში ალირიცხება ყველა, ვინც საზღვარგარეთ გადის. მისი ვალდებულებაა გამოავლინოს და მიიღოს ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც სისტემატურად საეჭვო ვოიაჟს ეწევა. ამაზე მსჯელობის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ამჟერად თურქეთის ხელისუფალთა მიერ პასუხისგებაში მიცემულთა შორის არიან პიროვნებები, რომლებსაც წლის მანძილზე საზღვარი ექვსჯერ-შვიდჯერაც კი აქვთ გადაკვეთილი და მათ მიმართ რაიმე კონტროლის დაწესებაზე საბაჟოს ორგანოებს არ უზრუნიათ. უდავოა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში მარტო საბაჟოს მუშაკთა თანამდებობრივ უპასუხისმგებლობაზე ლაპარაკი სწორი არ იქნებოდა. საკითხი ყოველმხრივ უნდა განვიხილოთ და გაირკვეს, რამდენად კანონშესაბამისი წყაროებით და საშუალებებით ფორმდება დოკუმენტაცია საზღვარგარეთ გასასვლელად, რატომ არ ხდება ამ დოკუმენტაციის გაფორმების დროს კანონის მოთხოვნათა დაცვა და ყველა აქედან გამომდინარე შედეგების გათვალისწინება. საქმე ის არის, რომ პასუხისგებაში მიცემულ პირთა დიდი პროცენტი პარაზიტული ელემენტია, არსად არ მუშაობს და ზოგს საზღვარგარეთ სიარული პროფესიად და არსებობის საშუალებად აქვს გადაქცეული.

პასუხისგებაში მიცემულ პირთა შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც პირველად წავიდნენ საზღვარგარეთ, მცირეწლოვანი შვილების პატრონი ოჯახის ქალები, რომლებიც დამნაშავეები გახდნენ, ფეხის ხმას აყოლილნი.

პრობლემები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო საბაჟოსა და თურქეთის საბაჟოს წინაშე წამოიჭრება სხვადასხვაა და მათ მიმართ ერთნაირი მოთხოვნების წამოყენების საფუძველი არ არსებობს. ცხადია, რომ თურქეთის საბაჟო არასდროს წინააღმდეგი არ იქნება, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა საზღვარი გადაკვეთონ რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური პოტენციალით. აქედან გატანილ საქონელს თურქეთის ბაზარი ბევრად იაფად იძენს და ასეთ პირობებში სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოს ეკონომიკის განმტკიცებაში. ამიტომ თურქეთის მხარე დაინტერესებულიც არის ხელი შეუწყოს ასეთ მოქმედებას, რაც ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს. სულ სხვაა კონტრაბანდული საქონელი, ყალბი ვალუტის შეტანა და პროსტიტუციის შედეგად შესაძლებელი სენის გავრცელების საშიშროება, ქურდობა და ძარცვა. დღეს ყველა ამ მოვლენის წინააღმდეგ თურქეთის ხელისუფლება ფართო მასშტაბის ღონისძიებებს ატარებს.

როგორც უკვე აღინიშნა კონტრაბანდულ საქონელს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: იარაღს, საჭურველს, ტყვია-წამალს, ძლიერ მომწამვლელ ნივთიერებებს.

ამ ბოლო დროს სამწუხაროდ რიზეში უმრავლესობა ჩვენი მოქალაქეებისა დაკავებულია ასეთი დანაშაულის ჩადენისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ამას ხელს უწყობს ჩვენთან არსებული დესტაბილიზაციის ხანგრძლივი პროცესი, ხალხში დიდი რაოდენობით საბრძოლო იარაღის არსებობა.

რიზეს ციხეში ჩვენ შევხვდით პატიმრებს. საუბრიდან გაირკვა, რომ იმ ხალხთან, ვინც თურქეთში მიემგზავრება, ორგანოები, რომლებსაც ეს ევალება, სათანადო მუშაობას არ ეწევიან. ამ ხალხს არავითარი ინფორმაცია ამ ქვეყნის შესახებ საერთოდ, და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და იმ მოთხოვნების შესახებ, რომლის შესრულება იქ ჩასული თითოეული უცხოელისათვის სავალდებულოა. არ არის სათანადო სპეციალური ლიტერატურა, რომლებიც ამ საკითხებს აშუქებდეს და აძლევდეს მოქალაქეებს საშუალებას გამოიჩინოს სათანადო სიფრთხილე ქცევაში და მისთვის უცნობ საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში. არ არის ორგანიზებული სათანადო პროპაგანდა და განმარტებითი მუშაობა მასობრივი ინფორმაციის წყაროებში: რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები.

როდესაც ჩვენი მოქალაქეების მიერ ჩადენილ დანაშაულზე მივიღეთ ცნობა, დავინტერესდით, ამჟერადაც საბრძოლო იარაღი ხომ არ ფიგურირებდა და ამ მოქმედებას საფუძვლად ხომ არ ედო დღევანდელ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი პირების მოქმედება. საბედნიეროდ ეს ადრეც და უკანასკნელადაც მთლიანად გამორიცხული აღმოჩნდა. ამჟერად მხოლოდ სხვადასხვა საბრძოლო ვაზნების და თოფის წამლის კონტრაბანდასთან გვაქვს საქმე. დანაშაულის ჩამდენი პირები არც ერთ პოლიტიკურ მიმართულებას არ მიეკუთვნებიან და მიზანი მხოლოდ ვალუტის შოვნაა. გარკვეული მოსაზრებით ამ პირების ვინაობას არ ვასახელებთ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მათგანი არ იმსახურებს არავითარ ყურადღებას და მათი დახმარებისთვის თავის შეწუხება არც ღირს. აბა, როგორ შეიძლება დახმარებაზე და შეღავათების გავრცელებაზე ილაპარაკო, თუ დანაშაულის ჩამდენი არსად არ მუშაობს, მოკლე დროის მანძილზე თურქეთში მეშვიდეჯერ ჩადის და დაკავებულია 44 კგ თოფის წამლით ან სუტენიორობს, ან კიდევ ყალბი ვალუტით ვაჭრობს. ანდა რატომ უნდა დაეხმარო ქალს, რომელიც უცხო სახელმწიფოში ცივი იარაღით შეიარაღებულ ხულიგნობას სჩადის.

გლობალური ღონისძიებების განხორციელებამდე ვფიქრობთ, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ ნორმატიული აქტი საზღვარგარეთ მიმავალი პირების მიერ დიდი წონის საქონლის გატანაზე, იგი უნდა შეიზღუდოს 10-15 კილოგრამამდე, რაც ნორმალური კონტროლის საშუალებას შექმნის და შეამცირებს იმ დიდ დანაშაულს, რომელიც ხდება.

გაკეთდეს და დიდი ტირაჟით დაიბეჭდოს საზღვარგარეთ მიმავალ პირთათვის ე. წ. სამახსოვრო, რომელშიც განმარტებული იქნება უფლებამოვალეობანი და მიცემული სათანადო გაფრთხილება.

გაძლიერდეს საქონლის გატანაზე ლიცენზირების გაცემის კონტროლი, გაირკვეს, რამდენად სწორად ატარებს საბაჟო ამ ლიცენზიებით რესპუბლიკის მატერიალურ პოტენციალს.

დაჩქარდეს ახალციხის საბაჟოს გახსნა, რომელიც საგრძნობლად განტვირთავს სარფის საბაჟოს და კონტროლის უკეთეს პირობებს შექმნის.

ვფიქრობთ, ეს მოკლე ინფორმაცია, ალბათ, ბევრ ჩვენს თანამემამულეს დააფიქრებს, და თუ რესპუბლიკის და ხალხის ღირსება არაფრად მიაჩნია, თავის თავს მაინც გაუფრთხილდება.

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲥᲕᲐᲜᲘᲐ,**
პროფესორი, „იუნესკოს" განათლების ფონდთან არსებული იურიდიულ-ეკონომიკური ბიუროს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲘᲖᲔᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ...

ᲡᲮᲕᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ


# „ᲡᲐᲡᲙᲝ" — RELCOM

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲡᲐᲡᲙᲝ"

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲥᲡᲔᲚᲘ

## ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ

**ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲝᲗ** საქმიანი ურთიერთობა საბროკერო ფირმებთან, ბირჟებთან, ბანკებთან, სხვა კომერციულ სტრუქტურებთან, ორგანიზაციებთან, საწარმოებთან და კერძო პირებთან.

ამისთვის აუცილებელია გახდეთ საინფორმაციო ქსელის აბონენტი, რომლის რეგიონალური კვანძი თბილისში შექმნა კომპანია „სასკომ".

კომპანია „სასკო" დაგაკავშირებთ ქსელთან შეღავათიანი პირობით.

RELCOM-ის მეშვეობით შეგიძლიათ:

— გაცვალოთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური დოკუმენტები, ნახაზები, საქმიანი წერილები ნებისმიერ მანძილზე;

— გადასცეთ ერთი და იგივე შეტყობინება ერთდროულად რამოდენიმე ადრესატს;

— მოძებნოთ საქმიანი პარტნიორები;

— მოათავსოთ რეკლამა და თქვენი წინადადებები საინფორმაციო სააგენტოებში;

— დაუკავშირდეთ საზღვარგარეთის ყველა მსხვილ კომპიუტერულ ქსელს;

— მიიღოთ მონაწილეობა თემატურ ტელეკონფერენციებში, მათ შორის საერთაშორისოშიც;

— გადასცეთ შეტყობინება 80-ზე მეტ ბირჟას;

— დაამყაროთ საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი კომპიუტერის მეშვეობით;

— აანაზღაუროთ მანეთებით საერთაშორისო საინფორმაციო ურთიერთგაცვლა.

„სასკო" დამატებით გთავაზობთ:

— საბროკერო მომსახურებას რუსეთის სასაქონლო-სანედლეულო, რუსეთის საფონდო, რუსეთის ლითონების, აზიის, ურალის, ციმბირის, შუა აზიის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის, აგრეთვე ბირჟათა ასოციაცია „ვოლგაში" შემავალ და სხვა ბირჟებზე.

— აღნიშნულ ბირჟაზე არსებული საქონლის ნუსხას მათი ტრანსპორტირების, მიწოდების და სხვა პირობების, აგრეთვე ფასების შემცველი ინფორმაციით;

— მონაცემებს მსოფლიო ფასების შესახებ.

— ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სიღნაღში მისი კვანძების მიერ მომსახურებას;

— ინფო-ბიზნეს ცენტრის საინფორმაციო-საქმიან მომსახურებას.

„სასკო" გარდა ამისა,

— მოემსახურება იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ კომპიუტერი;

— გაუწევს უფასო კონსულტაციას მის აბონენტებს, ქსელში მუშაობასთან დაკავშირებით;

— დაგეხმარებათ ინფორმაციის ანალიზსა და დამუშავებაში;

— მოგემსახურებათ რუსულ და სხვა უცხო ენებზე ელექტრონული წერილების შედგენაში;

— ლიზინგის საფუძველზე უზრუნველყოფს აბონენტებს RELCOM-ის ქსელთან ადაპტირებული კომპიუტერებით და მოდემებით.

„სასკოს" აქვს:

— მეწარმეობის სფეროში საქართველოს რესპუბლიკისა და თანამეგობრობაში შემავალი სახელმწიფოების საკანონმდებლო ინფორმაცია,

— მომსახურებისა და საქონლის მწარმოებლების, ბირჟების, საბროკერო ფირმების, ბანკების, ერთობლივი საწარმოებისა და უცხოური კომპანიების წარმომადგენლობის მისამართები.

— საბროკერო საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტების კომპლექტი.

— სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტების კომპლექტი.

— კერძო საწარმოს შექმნისთვის საჭირო ტიპური დოკუმენტების კომპლექსი.

პირველ 50 აბონენტს ვთავაზობთ შეღავათს 25%-ის ოდენობით.

მომდევნო 50 აბონენტს — 10%-ის ოდენობით.

პირველი აბონენტი კი ქსელში უფასოდ ჩაერთვება!!!

აბონენტთა რეგისტრაცია და კონსულტირება იწარმოებს 10-დან 16 საათამდე (უქმე დღეების გარდა) მისამართით: თბილისი, კონსტიტუციის მოედანი, სასტუმრო „აჭარა" საქართველოს სავაჭრო-საინვესტიციო კომპანია „სასკო".

„ᲡᲐᲡᲙᲝ"

ეს არის მსხვილი კომერციული სტრუქტურა, რომელიც ეწევა საბირჟო ფინანსურ და საინფორმაციო საქმიანობას. კომპანიაში გაერთიანებული არიან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, საბირჟო საქმის, ინფორმატიკის, რეკლამის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ მუშაობის გამოცდილება ამერიკის, საფრანგეთის, ნიდერლანდისა და გერმანიის კომპანიებსა და უნივერსიტეტებში.

RELCOM ეს არის შეტყობინებათა გადაცემის საერთაშორისო ქსელი, რომელიც მოქმედებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მთელ მსოფლიოში. RELCOM-ში გაერთიანებულია 30000 წამყვანი კომერციული სტრუქტურა. ქსელის აბონენტებს უნიკალური საშუალება აქვთ გაცვალონ ნებისმიერი ინფორმაცია და მონაწილეობა მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებულ ტელეკონფერენციებში. ქსელი აგრეთვე, იძლევა საშუალებას ოპერატიულად მიიღოთ მონაცემები საქონლისა და მომსახურების ფასების, გაყიდვისა და კოტირების შესახებ.

# ახალი ამბები

მერიის „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის საინფორმაციო ბიულეტენი

**მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი**

## კატაკლიზმების პროგნოზირება?

**27 მარტს, 22 საათსა და 21 წუთზე საქართველოში მოხდა მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი უკვე „შეჩვეულ" ადგილას — ჯავასა და ონს შორის იყო და რომლის სიმძლავრე აქ 5 ბალს აღემატებოდა.**

**რამდენადმე მნიშვნელოვანი ზარალი მიწისძვრას არ მოჰყოლია. მაგრამ... იგი წინ უსწრებდა ზუგდიდში განლაგებულ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა სამხედრო აქციას.**

**ასტროლოგები ამტკიცებენ, რომ ამგვარ მოვლენათა შორის არა მარტო არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, არამედ შესაძლებელია მათი პროგნოზირება და, რაც მთავარია, მოსალოდნელი შედეგების შერბილება, თუ სახელმწიფო დონეზე შეიქმნება სპეციალური სამსახური.**

ამ საკითხზე გვესაუბრება გ. გამყრელიძე.

თანამედროვე ტექნოკრატული საზოგადოება დიდი და რთული ინტერაქტიური სისტემაა, რომელიც ურთიერთმოქმედ, ერთმანეთთან მეზობლად მყოფი ელემენტების სიმრავლისაგან შედგება.

ეს სისტემები ნელა ვითარდება, მაგრამ დროდადრო მათში კატასტროფული, მკვეთრი და სწრაფი სახეცვლილებანი ხდება: მიწისძვრები, მეწყრები, ცალკეულ ბიოლოგიურ სახეობათა დაღუპვა, გლობალური ეკონომიკურ-საბირჟო კრიზისები, ეთნოკონფლიქტები და სხვა. კრიზისული სიტუაცია მოულოდნელად, უმნიშვნელო მოვლენების ზეგავლენით იქმნება და ძირითადად მშვიდობიან მოსახლეობას აზარალებს.

ამ დროს ამოქმედდება ფარული და ძლიერი მექანიზმები, ან გაუთვალისწინებელ, იშვიათ სიტუაციათა დამთხვევა მოხდება.

დადგენილია, რომ ასეთ სისტემებში (მიწის ქერქი, გეობიოცენოზები, ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო ქსელი და სხვა) ყველა მოვლენა, უმნიშვნელო თუ კატასტროფული, შეიძლება გამოიწვიოს ერთმა და იგივე მექანიზმმა. მასშტაბში განსხვავება თვით სისტემის მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელიც თავისთავად სამგვარია: **ქვეკრიზისული, კრიზისული და ზეკრიზისული.** პირველ შემთხვევაში რეაქცია მყისიერად ქრება და გარდამავალ ხასიათს ატარებს; მეორეში — ვითარდება მუდმივი სიჩქარით, მესამეში — შეუქცევადი კატასტროფების მიზეზი ხდება. მაგალითად, რომელიმე რეგიონში საშუალო სიმძლავრის მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს სატრანსპორტო კომუნიკაციების მოშლა, ეკონომიკური ანარქია, სოციალური გამწვავება, ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა და ა. შ. თავის მხრივ სოციალური გართულებანი, ეკონომიკური კრიზისები უარყოფითად მოქმედებს გარემოზე და, როგორც ჩვენი ასტროეკოლოგიური დაკვირვება გვიდასტურებს, მიწისძვრების გამომწვევი მიზეზიც კი შეიძლება გახდეს...

საქართველოში გაუთვალისწინებელი, საგანგებო სიტუაციები უკვე წელიწადია გეომეტრიული პროგრესით ვითარდება. 1992 წელი ამ მხრივ უფრო მწვავე იქნება. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკაში მწვავე ეკოლოგიური კრიზისია (რომელიც კატასტროფულ ხასიათს იღებს თანახლებადი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისების გამო) და მოსახლეობის უმრავლესობა იბრძვის საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად, რასაც ენერგეტიკულ-სატრანსპორტო რესურსების კატასტროფული ნაკლებობა ემატება, ცხადი გახდება, რომ მთავრობის ღონისძიებანი ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს კატასტროფული, კრიზისული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) პროცესების და სიტუაციების პროგნოზზე, მათ ახალ ანალიზსა და დაძლევაზე, რადგან ეს პროცესები სულ უფრო და უფრო ძნელი მოსათოკი და სამართავი ხდება.

საზოგადოება, რასაკვირველია, შეშფოთებულია, მაგრამ შიშის ეს გრძნობა კონსტრუქციული გახდება, თუ მას შესაბამისი სამთავრობო გამოფხიზლებელ ღონისძიებებს მივუსადაგებთ, რაც ერის გადარჩენის სტრატეგიაში იქნება განვითარებული.

ასეთი სიტუაციებისა და მოვლენების წინასწარ განჭვრეტა საკმაოდ ძნელია. თუ მაგალითად, შესაძლებელია მეცნიერების ამა თუ იმ დარგში მიღებული პროგნოზის ანალიზზე დაყრდნობით ლოკალური კრიზისული სიტუაციების წინასწარი გათვალისწინება, სამაგიეროდ კატასტროფული შედეგების პროგნოზირება საკმაოდ რთულია, რადგან ეს შეიძლება გამოვლინდეს და გავრცელდეს წარმოშობის ადგილიდან საკმაო დაშორებით და სულ სხვა სფეროშიც კი გადაინაცვლოს. ამის მაგალითია იანვარ-დეკემბრის კრიზისული მოვლენები — ძალადობა, მსხვერპლი, ინფრასტრუქტურების მოშლა და ამასთან დაკავშირებული შედეგი — სტიქიური მოვლენები, დიდთოვლობა, მიწისძვრის ბიძგები და სხვა.

პერსპექტივაში კატასტროფული მოვლენები, საგანგებო სიტუაციები აუცილებლად შეიქმნება და თანაც უფრო და უფრო გლობალური ხასიათისა, რადგან თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო და უფრო მჭიდროდ დაკავშირებულ ინტერაქტიურ სისტემად იქცევა. რკინიგზის ლოკალური ხაზის ბლოკადა, მაგალითად, მთელი რიგი კატასტროფული და გაუთვალისწინებელი შედეგების განვითარებას იწვევს. ის, რომ ასეთი მოვლენების წინასწარი პროგნოზი გაძნელებულია, ხოლო დაძლევა ზოგჯერ შეუძლებელი, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არ უნდა კეთდებოდეს მათი პროგნოზი, ანალიზი და შედეგების, შესაძლოა მცირე, მაგრამ მაინც შერბილება. ამ მხრივ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ამ ბოლო დროს რუსეთშიც, უკვე დიდი ხანია საკმაოდ ეფექტიანად მოქმედებენ ე. წ. გაუთვალისწინებელი მოვლენების დაძლევის სამთავრობო სამსახურები. მეტიც, შექმნილია მეცნიერული კვლევის ახალი დისციპლინა, რომლის მიზანია შესთავაზოს მთავრობას ღონისძიებათა მზა პაკეტები და პროგრამები, რომელთა ამოქმედება საჭირო კრიზისულ სიტუაციებში მათ დასაძლევად. ამ სამსახურების საქმიანობის პრაქტიკაში ფუნდამენტურ მეცნიერებათა მიღწევებთან ერთად საკმაოდ ხშირად იყენებენ პროგნოზისა და ანალიზის არატრადიციულ მიმართულებებს, პერიოდულად აქვეყნებენ სპეციალურ ბიულეტენებს და სხვა. ჩვენი აზრით, საქართველოშიც უნდა ჩამოყალიბდეს ასეთი სამსახური სამოქალაქო თავდაცვის შტაბის ბაზაზე, მასთან მაშველთა კორპუსის გაერთიანებითა და შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურებით.

ასეთი სამსახურის ძირითადი ფუნქციები შემდეგნაირად გვესახება.

1. **პროგნოსტიკული:** როცა სხვადასხვა მეცნიერულ ორგანიზაციასთან ურთიერთკავშირში არატრადიციულ საშუალებებზე დაყრდნობით პროგნოზირებული იქნება მოსალოდნელი უარყოფითი, საგანგებო, საანგარიშო და გაუთვალისწინებელი მოვლენების წარმოშობა და განვითარება.
2. **ანალიტიკური:** გაანალიზდება მიმდინარე კრიზისული მოვლენა თუ სიტუაცია. დადგინდება მათი დაძლევის ოპტიმალური გზები და ხერხები. მთავრობას წარუდგენენ შესაბამის რეკომენდაციებს.
3. **მმართავი ფუნქცია:** ამ სამსახურის სწრაფი რეაგირების ძალების — მაშველთა კორპუსის, მოხალისეთა რაზმების, სამედიცინო, სახანძრო, სამართალდამცავი, ეკოლოგიური უზრუნველყოფის ჯგუფები და ა. შ. —ამოქმედება.

მოხალისეთა რაზმები შემთხვევით არ მიხსენებია. პირიქით, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ისინი უნდა პირველობდნენ ბუნებაზე დაკვირვებაში და ანომალური მოვლენის ნიშნების შემჩნევისას დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდნენ შესაბამის სახელმწიფო სამსახურებს. ცნობისთვის: 1975 წელს სწორედ ასეთი მონიტორინგის მეშვეობით შეძლეს ჩინეთში ძლიერი მიწისძვრის პროგნოზირება და მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნეს.

ინფორმაციის მასივის შექმნა მარტო ბუნებრივი პროცესებისთვის კი არ არის აუცილებელი, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებშიც, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, აქ შექმნილმა კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს სოციალური უკმაყოფილება, რაც ეკოლოგიური კატაკლიზმების მომასწავებელია.

სიტყვას არ გავაგრძელებ იმაზე, რომ ამგვარმა სამსახურმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს საზღვარგარეთის გამოცდილება, გამონახოს გზები და საშუალებები თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად, რათა ზედმეტ ტვირთად არ დააწვეს რესპუბლიკის ბიუჯეტს.

## მეცნიერის აღიარება

გერმანიაში გამოცემული წიგნის „საქართველოს არქეოლოგია" და სხვა ნაშრომებისთვის, გერმანელ და ქართველ არქეოლოგთა შორის მჭიდრო მეცნიერული კონტაქტების დამყარებისთვის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე არჩეულია მაინცის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად და დაჯილდოვდა ამ საზოგადოების მედლით. ეს მედალი ენიჭებათ მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს არქეოლოგიის განვითარების, ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ოთარ ლორთქიფანიძე ამ მედლის 26-ე მფლობელია, საზღვარგარეთელ მეცნიერთაგან — მეექვსე. მანამდე ამ მედლით დაჯილდოებული იყვნენ ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის და შვედეთის წარმომადგენლები.

საგულისხმოა, რომ ამ მედლის ლაურეატი იყო ცნობილი გერმანელი არქეოლოგი და ხეთოლოგი კურტ ბიტელი, რომლის ნაშრომები აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ინიციატივით ქართულადაც ითარგმნა.

### გამოსათხოვარი

## გიორგი (გუგა) ნახუცრიშვილი

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი გიორგი (გუგა) დავითის ძე ნახუცრიშვილი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი მხცოვანი შემოქმედი და მოქალაქე, რომლისთვისაც მშობელი ქვეყნის უანგარო სამსახური არსებობის ერთადერთ გამართლებას წარმოადგენდა.

გუგა ნახუცრიშვილი დაიბადა 1902 წლის 20 მაისს თბილისში. 1910 წელს გაამწესეს თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, რომელიც 1920 წელს დაამთავრა. 1928 წელს გუგა ნახუცრიშვილი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტად. 1928 წლიდან, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, გუგა ნახუცრიშვილი მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და ყველგან ღირსეულად ატარებდა ქართველი მწერლის საპატიო სახელს.

გუგა ნახუცრიშვილმა ლიტერატურული მოღვაწეობა 1920 წელს დაიწყო, როდესაც საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულში" გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „თაგუნიას თავგადასავალი". მან სხვა მოთხრობები მოჰყვა, რომლებიც შემდგომ ცალკე წიგნად გამოიცა. ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა მწერლის რომანს „მეჩეკავეს".

გუგა ნახუცრიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული დრამატურგიის განვითარებას. იგი იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაარსებისთანავე (1928 წელს) მხარში ამოუდგნენ მას.

დრამატურგის შესანიშნავი პიესები „ფიროსმანი", „ნაცარქექია", „კომბლე", „აჩაკუნე", „შაითან ხიხო" და მრავალი სხვა წარმატებით იდგმებოდა როგორც ქართულ, ისე საზღვარგარეთის თეატრების სცენებზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პიესა „ჭინჭრაქა", რომელიც 60 თეატრში დაიდგა. სწორედ ამ პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში გაიბრწყინა კიდევ ერთხელ მთელი თავისი ძალმოსილებით სერგო ზაქარიაძის დიდმა აქტიორულმა ტალანტმა. „ჭინჭრაქა" რამდენიმე წლის მანძილზე ამშვენებდა რუსთაველის თეატრის რეპერტუარს, ხიბლავდა დიდსა თუ პატარას, შინაურსა თუ გარეშეს. პიესა დაიდგა ფინეთში, შვეციაში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში...

გუგა ნახუცრიშვილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მთელი თავისი შემოქმედებით, მოქალაქეობრიობით, ჭეშმარიტი სიდარბაისლით გუგა ნახუცრიშვილი კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობის მქადაგებელი იყო. ასეთად დარჩება იგი მისი მეგობარი ქართველი მწერლების ხსოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

### განცხადება

1992 წლის 2 აპრილს, საზოგადოება „ცოდნის" დარბაზში, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭო ატარებს კონფერენციას პრივატიზაციის საკითხებზე.

დასაწყისი 11 საათზე.

საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდენტი.

### ამ სახელს დავიწყება არ უწერია...

4 აპრილს მას 85 წელი შეუსრულდებოდა. მაგრამ, მიუხედავად წლების სიმრავლისა, იგი მაინც შემართული და ვაჟკაცური შეხვდებოდა თავის დაბადების დღეს და ამ თარიღს ღირსეულად აღნიშნავდა თავის პირმშოსთან — ქართული ხალხური ცეკვის აკადემიურ ანსამბლთან ერთად. დღეს ბატონ ილიკო სუხიშვილს მოვიგონებთ ისეთს, როგორიც დაგვახსოვდა.

მერი გაბრიაძე

### საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იწონებს ოლიმპიადა-92-ში მონაწილეობას

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა შესაძლებლად ცნო რესპუბლიკის ნაკრები გუნდის გამოსვლა ბარსელონაში 1992 წლის ოლიმპიურ ასპარეზობაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში.

### ფირმა აფართოებს წარმოებას

დღეში ოცდაათ ტონა ლითონის ჯართს და ექვსას ტონა საშენ ღორღს გადაარჩევს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გადაყრილი წიდებიდან მესამე ნაკადური ხაზი, რომელიც ფირმა „წიდამ" ახლახან აამოქმედა. ამრიგად, ჯართის მოპოვება ცვლაში 80 ტონამდე გაიზრდება, რაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გადასამუშავებლად დაუბრუნდება, საშენი ღორღი კი ცვლაში 1400 ტონით მეტი დამზადდება. ეს კი, გარდა მშენებლობისა, რუსთავის ცემენტის ქარხნის „პურია".



## საძირკველთან „ბომბორა" დაბაჯბაჯებს

**ანეკდოტი:**

კაცი წყალში იხრჩობოდა, ღმერთს შველას ევედრებოდა. ორჯერ ნავმა ჩამოუარა. ამოძვერიო, შესთავაზეს. უარი უთხრა, ღმერთი მიშველისო და... დაიხრჩო. სასუფეველში უსაყვედურა ღმერთს, რატომ არ გადამარჩინეო. ღმერთმა ვინაობა გამოჰკითხა, შემდეგ თავის დავთარში ჩაიხედა და მიუგო: ნავი ხომ გამოგიგზავნე, თანაც ორჯერ, მამაცხონებულოო.

**სინამდვილე:**

იმ კაცისაგან განსხვავებით სპორტსაზოგადოება „დინამო" ღმერთს ვედრება არ დაუწყო და თავისი წყალბურთელთა გუნდის (რომელსაც ვეღარ პატრონობდა) ბედ-იღბალი ერთ მეცენატ კაცს გადააბარა, ვისთვისაც არც წყალბურთია უცხო და არც სამეურნეო საქმიანობა.

**თენგიზ ჩიხლაძე:**

ძველი წყალბურთელი ვარ და მიყვარს ეს სპორტი. ამიტომაც გადავწყვიტე ჩემი ენერგია, ცოდნა და მატერიალური სახსრები მისთვისაც დამეთმო.

ამჟამად ერთობლივი საწარმო „ბომბორას" და წყალბურთელთა კლუბის „დინამოს" პრეზიდენტი ვარ.

ფაქტობრივად კლუბი ხელახლა დაარსდა. ძველი „დინამო" ფორმალურად თუ არსებობდა, ვინც შემორჩა, ისინიც დავითხოვე და სხვადასხვა გუნდებიდან ახალგაზრდა, პერსპექტიულ ყმაწვილებს მოვუყარე თავი.

გასული თვის სექტემბერში ვარჯიშსაც შევუდექით. მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს თასის გათამაშებაში და ფინალში უნივერსიტეტის ძლიერი, გამოცდილი წყალბურთელებით დაკომპლექტებული გუნდიც დავამარცხეთ.

იანვარში მოვახერხეთ და საკუთარი სახსრებით ისრაელში ვიმოგზაურეთ. ნახევრადოფიციალურ მატჩში ისრაელის ჩემპიონი „მაკაბი" დავამარცხეთ. ამ შეხვედრას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების არბიტრი უნგრული წარმოშობის ებრაელი, გვარად ბარტოში სჯიდა. მან ჩვენი ბიჭების თამაშს მაღალი შეფასება მისცა.

**ბარტოში:**

დიდი ხანია არ მინახავს ასეთი მრავალფეროვანი ტალანტებით დაკომპლექტებული გუნდი. თუ ორი წელი ინტენსიურად და ნაყოფიერად ივარჯიშებთ, მსოფლიოს საუკეთესო გუნდების ოთხეულში მოხვდებით.

**თენგიზ ჩიხლაძე:**

ჩვენით ისრაელის პრესაც დაინტერესდა. ბევრი მეგობარიც შევიძინეთ. განზრახული გვაქვს ისრაელის გარდა საბერძნეთისა და სირიის ჩემპიონებიც მოვიწვიოთ.

სიტყვამ მოიტანა, რატომ არ შეიძლება აღდგეს თბილისის საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ჟურნალისტები აწყობდნენ? იგი ადრე ფიფას კალენდარში ჰქონდა ჩასმული და პირველი კატეგორიის იყო. თუ საორგანიზაციო საკითხებს მოაგვარებენ, მზად ვართ გარკვეული მატერიალური დახმარება გავუწიოთ. ისე ურიგო არ იქნება სხვა ორგანიზაციებმა და საწარმოებმაც შეიწუხონ თავი. ქართული წყალბურთი მალე დამოუკიდებლად გავა საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენმა ფედერაციამ ტელექსი მიიღო დიუნისში ფიფაში გაწევრიანებით.

**ავტორი:**

გუნდში 18 წყალბურთელია — 1000-1200 მანეთი თვიური ხელფასით. კიდევ — მწვრთნელები, წყალბურთში ცნობილი ხალხი: გივი ჩიქვანია, ბორის მეგედი, გელა ტუკვაძე, კონსულტანტი ლერი გოგოლაძე. ტექნიკური დირექტორი ზაზა ალექსიძე. სავარჯიშო ბაზის გასასტუმრებელი თანხები ცალკე საანგარიშოა, ამიტომ ბუნებრივია, დამაინტერესა, რა სახსრებით ინახავს კლუბს თენგიზ ჩიხლაძე, უფრო სწორად — „ბომბორა".

**„ბომბორა":**

ამ საწარმოს ძირითადი საქმიანობა ტყავის გადამუშავებაა, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოაქვთ. ამასთან მას ფულით ყიდულობენ, ე. ი. ბარტერულ გაცვლას არ აწარმოებენ, ამიტომ უფრო ხელსაყრელია რესპუბლიკისათვის.

დამუშავებულ ტყავს საზღვარგარეთ ყიდიან. იქ დამზადებული ნაწარმის ნაწილი საქართველოში შემოაქვთ. ბევრმა იცის „ბომბორას" ტყავის ქურთუკების ხარისხი. ზოგს ისიც ემახსოვრება, როგორ დაამტვრიეს თავ-ყბა ერთმანეთს და დააქციეს მაღაზია მისი შეძენის მსურველებმა. ასე რომ საწარმო ფინანსურად წელშია გამართული.

**თენგიზ ჩიხლაძე:**

რა თქმა უნდა, ტყავის გადამუშავების გარდა სხვა რამითაც ვართ დასაქმებული. მომავალში წარმოებას უფრო მრავალდარგოვანს გავხდით. კონკრეტულად რას გავაკეთებთ, ჩვენი საიდუმლოა. ექვიანებს მინდა ვუთხრა: „ბომბორა" წესიერ კომერციას თაღლითობისაგან ანსხვავებს.

ჩემს თანამშრომლებს ეამაყებათ, კლუბი ჩვენი რომ არის. ამჟამად თვეში 40000 მანეთი გვეხარჯება. ფასების თავბრუდამხვევი ზრდის პირობებში ხარჯები ალბათ მოიმატებს. ვეცდებით გავწვდეთ. მთავარია — ყმაწვილები არ მაწბილებენ. საუკეთესო ბიჭები არიან კახა დარსაველიძე, რეზო ჩომახიძე, ირაკლი ტატიშვილი, ნიკა ასათიანი, წარმოებაში ზაურ აბაშიძე... ყველა.

უმკაცრესი დისციპლინა გვაქვს, პლუს ტალანტი და აქედან გამომდინარე კარგი პერსპექტივაც.

**პერსპექტივა:**

კლუბს ავჭალაში საკუთარი ბაზა აქვს: კორტა, სასტუმროს ტიპის ოფისით (ეს სამინისტროს ყოფილი სასტუმრო, რომელიც პირადად ყოფილმა მინისტრმა შ. გორგოძემ გადასცა, სადაც დღედაღამ ფუსფუსებს მომსახურე პერსონალი დირექტორის თენგიზ მახარაძის თავკაცობით) და მოზრდილი ტერიტორიით, სადაც აუზის მშენებლობაა დაწყებული — ცოტათი ფინანსური სიძნელეების და ბევრად სხვისი პრეტენზიების გამო დროებით შეჩერებული.

ასე რომ, პერსპექტივაში ან შუნება ან ინსტანციებში სირბილია მოსალოდნელი. მანამდე კი მშენებარე აუზის გათხრილ საძირკველთან ნაგაზის ჯიშის ბოხოლა ლეკვი „ბომბორა" (ასე შეარქვეს ბაზის თანამშრომლებმა და წყალბურთელებმა) უზრუნველად დაბაჯბაჯებს. პატრონებისგან განსხვავებით (ზოგი ინსტანციის ზოგიერთი მუშაკივით) არც სეხნია-წარმოების თავზესაყრელი პრობლემები და საზრუნავი აწუხებს და არც წყლით ავსებულ აუზზე ოცნებობს.

ისე, წყალბურთელი ბიჭებისა არ იყოს, თუ ვინმე ზრდაში ხელს არ შეუშლის — მტერს.

**ვახტანგ ნადირაძე.**

**სურათზე: თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა კლუბის ერთი ჯგუფი (მეორე რიგში მარცხნიდან მესამე თენგიზ ჩიხლაძე).**

სიმონ კილაძის ფოტო.



რეკლამა

НИПЕК

ყურადღება! იყიდება ნავთობის აქციები!!!

...

ფულით, ასევე გადარიცხვით. აქციების გაყიდვა წარმოებს „მრეწვმშენბანკში", ჯორჯიაშვილის ქ. № 14.

იურიდიულ პირთათვის ბანკი „იმედი". ვაჟა-ფშაველას პრ. № 45.

ქ. ქუთაისი.

„ბინსოცბანკი", პუშკინის ქ. № 12.

ტელეფონი: 95-81-68, 89-54-97.

იჩქარეთ!!!

რეკლამა

ყურადღება, ყურადღება!!!

თუ თქვენ ახალ საქმიანობას იწყებთ, ან აპირებთ არსე-

...

(ოთახი 408). მიუთითეთ თქვენი მისამართი, დაკვეთის რაოდენობა და ანაზღაურების სახე.

ცნობებისთვის დარეკეთ ტელეფონით: 36-25-80; 36-25-38.

საქართველოს რესპუბლიკის სოცეკონომინფორმის კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-საგამომცემლო ცენტრი.

ათი ვარდის ფასად







გიწვევთ კურსებზე

საქართველოს ეროვნულ-საგანმანათლებლო საზოგადოება აცხადებს მიღებას მასაჟისტების მოსამზადებელ კურსებზე.

მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ტელეფონით — 87-96-49, 10-დან 15 საათამდე, 87-80-59, 15-დან 20 საათამდე.

„საქართველოს უნივერსალური ბირჟა"

საბირჟო ვაჭრობა თბილისის ცენტრში

ს/ს „საქართველოს უნივერსალური ბირჟა პარასკევობით, 12 საათზე რეგულარულად გამართავს ღია ვაჭრობას.

ვაჭრობაზე შეგიძლიათ წარმოადგინოთ ნებისმიერი საქონელი: დანადგარები, სამრეწველო, ფართო მოხმარების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ნედლეული, აგრეთვე კონტრაქტები (ფიუჩერული გარიგება) და სხვა.

დაინტერესებულმა იურიდიულმა და კერძო პირებმა წარმოადგინონ განაცხადი არსებული წესის მიხედვით. განაცხადის ფორმის მიღება შეიძლება ბირჟის დირექციაში, განაცხადების მიღება წყდება ვაჭრობამდე 1 დღით ადრე.

საქონლის სპეციფიკისა და ღირებულების მიხედვით განისაზღვრება გამოსატანი საქონლის მინიმალური მოცულობა.

ვაჭრობაზე დაიშვებიან განაცხადის წარმომდგენი კერძო პირები (ერთი წარმომადგენელი), იურიდიული პირების არაუმეტეს ორი წევრისა.

განაცხადი მიიღება მხოლოდ საგარანტიო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში.

განაცხადის წარმომდგენებმა თან უნდა იქონიონ საქონლის ნიმუში (ან ფოტო, სერტიფიკატი), თუ კი ეს შესაძლებელია.

ვაჭრობის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს პასპორტი, ხოლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს — ორგანიზაციის მინდობილობა ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებაზე. საბროკერო ფირმის წარმომადგენელმა თან უნდა იქონიოს საფირმო მოწმობა.

სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟა"

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 89/24 (მეტროპოლიტენის სადგური „მარჯანიშვილი").

ტელეფონი: 95-30-24, 95-37-41, მოგვმართეთ ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 10-დან 17 საათამდე.

გავაზი

სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „გავაზი" გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებია, რომელთა შექმნაც მხოლოდ „გავაზს" შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 48, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით. „გავაზი" თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!



## კრიმინალური ქრონიკა

26 მარტს, 20 საათზე სამი დაუდგენელი ნიღბიანი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ქალაქ სოხუმში კუიბიშევის ქუჩის № 48 სახლში მცხოვრებ ლარისა არშაკის ასულ მარტიროსიანის ბინას, პისტოლეტისა და დანის მუქარით წაართვეს მას მაგნიტოფონი „შარფი", 1500 მანეთი, ოქროს სამკაულები და მიიმალნენ.

26 მარტს ქ. ქუთაისში, 26 მაისის ქუჩის № 86 სახლში დაუდგენელი ნიღბიანი ბოროტმოქმედნი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ გადაჭრილი სანადირო თოფით და ხელყუმბარით, გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ 1915 წელს დაბადებულ შალონ იაკობის ძე სეფიაშვილის ბინას.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შემთხვევის ადგილზე დააკავეს ქალაქ კრასნოდარის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ქალაქ ქუთაისში სოლომონ პირველის ქუჩის № 4 სახლში მცხოვრები, 1970 წელს დაბადებული მიხეილ გურამის ძე გაბრიაძე, უმუშევარი, ქალაქ ქუთაისში მეურნალის ქუჩის № 16 სახლის მცხოვრები, 1972 წელს დაბადებული გიორგი თემურის ძე დარახველიძე, ქალაქ ქუთაისში 26 მაისის ქუჩის № 62 სახლში მცხოვრები, 1974 წელს დაბადებული კონსტანტინე გურამის ძე კირკიტაძე და უმუშევარი, თბილისის ქუჩის № 61 სახლში მცხოვრები, 1970 წელს დაბადებული თორნიკე შოდანის ძე თავიდაშვილი, რომლებმაც დაკავებისას მილიციის მუშაკებს ესროლეს ხელყუმბარა, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი არ აფეთქებულა. ხელყუმბარა, გადაჭრილი თოფი ვაზნებით, სასიგნალო პისტოლეტის ვაზნები და ნიღბები ამოღებულია.

ამა წლის 26 მარტს, 22 საათსა და 10 წუთზე, ფოთში, ფრუნზეს ქუჩის № 69 სახლში ჟორა ანტონის ძე უნდილაძის ბინას თავს დაესხა სამი ნიღბიანი, დანებით შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომლებმაც დანის მუქარით წაიღეს სამი ბეჭედი, ქალის ერთი ოქროს საათი, 7500 მანეთი და სხვადასხვა ნივთები. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად დააკავეს: ქალაქ ფოთში თამარ მეფის ქუჩის № 21 სახლში მცხოვრები ფოთის საზღვაოსანაოსნო გემის „ახულის" მეზღვაური, 1972 წელს დაბადებული კახა მერაბის ძე ჭანტურია, ქალაქ ფოთში სტალინის სანაპიროს № 25 სახლში მცხოვრები, დროებით უმუშევარი, 1978 წელს დაბადებული კახა შოთას ძე ნადირაძე, მესამე ბოროტმოქმედი მიიმალა.

სამივე შემთხვევის გამო მიმდინარეობს გამოძიება.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ხოხიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას ქ. № 29. ინდექსი 64434.